

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 5

სისხლის სამართლის

პროცესი

1. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში
  - სამოქალაქო სარჩელის წარდგენის საფუძველი
  - უარი სამოქალაქო სარჩელზე
2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველები
3. განაჩენის გაუქმება კანონის არსებითი დარღვევის გამო

# 1. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში

## სამოქალაქო სარჩელის წარდგენის საფუძველი

### განჩინება

#785-აპ

15 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განაჩენით ნ. ლ-ე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (პირველი ეპიზოდი) თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (მეორე ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით და ამავე კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნ. ლ-მე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის (2 ეპიზოდი) საფუძველზე დანიშნული სასჯელის, თითოეული ეპიზოდისათვის -1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან და სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა ჯარიმა -3000 ლარი. იმავე განაჩენით ნ. ლ-ეს დაზარალებულ ს. ლ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 2 000 ლარის გადახდა.

ნ. ლ-ს გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრი დაედო: ქურდობისათვის, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აგრეთვე, სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (ორ ეპიზოდად).

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: ნ. ლ-ს წლების განმავლობაში მიწის ნაკვეთის კუთვნილებასთან დაკავშირებით კონფლიქტი ჰქონდა მეზობელ ს. ლ-საგან, რის გამოც 2008 წლის 9 მარტს მან განიზრახა მისი კუთვნილი ნივთის განადგურება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ნ. ლ-მე იმავე დღეს, დილის საათებში, მივიდა ზესტაფონის რაიონის სოფელ რ-ში მცხოვრებ ს. ლ-ს კუთვნილ სავენახე ნაკვეთში და თანაქონი ნაჯახის გამოყენებით აჩეხა და ამ გზით გაანადგურა 128 (ძირი ციციკისა და ცოლიკაურის ჯიშის ვაზის ნარგავი, რითაც დაზარალებულს მიაყენა 1500 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

მანვე, იმავე მოტივით, 2008 წლის 1 აპრილს კვლავ განიზრახა ს. ლ-ის ნივთის განადგურება და მისი კუთვნილი მოძრავი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე დღეს იგი მივიდა ს. ლ-ის კუთვნილ სავენახე ნაკვეთში და თანაქონი ნაჯახის გამოყენებით აჩეხა და ამ გზით გაანადგურა 38 ძირი ციციკისა და ცოლიკაურის ჯიშის ვაზის ნარგავი, რითაც დაზარალებულს მიაყენა 500 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ვაზის გაჩეხვის შემდეგ ნ. ლ-მ მოხსნა ვენახის მწკრივში გაბმული 450 მეტრი ფოლადის მავთული, რომელიც წაიღო და შეინახა ზესტაფონის რაიონის სოფელ რ-ში მდებარე თავისი საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსში, რითაც დაზარალებულ ს. ლ-ეს მიაყენა 42 ლარისა და 9 თეთრის ღირებულების ზიანი.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ლ-ემ, რომელიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმ მოტივით, რომ მას არც სხვისი ნივთის დაზიანების განზრახვა ჰქონია და არც -სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. მავთული და აღნიშნული მიწის ნაკვეთი მისი ოჯახის საკუთრება იყო. ვენახი გაჩეხა იმიტომ, რომ უვარგისი იყო და უნდოდა მის მაგივრად სიმინდის დათესვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ზეს-

ტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განაჩენი მსჯავრდებულ ნ. ლ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ლ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი -მსჯავრდებული ნ. ლ-მე თავისი საჩივრით ითხოვს მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა საკასაციო საჩივარში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ნ. ლ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. ლ-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ს. ლ-ს კუთვნილი ნივთის ფარული დაუფლება და მისივე ნივთის დაზიანება. ეს აღნიშნული დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ნ. ლ-ის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააკასაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არც ს. ლ-მე უცვნიათ სამოქალაქო მოსარჩელედ და არც ნ. ლ-მე -სამოქალაქო მოპასუხედ, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააკასაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, რომ მსჯავრდებულ ნ. ლ-ის ს. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრებინათ 2000 ლარის გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვება დადგენილება ს. ლ-ის სამოქალაქო მოსარჩელედ და ნ. ლ-ის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება დაზარალებულ ს. ლ-ის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ამასთან, დაზარალებულ ს. ლ-ეს რჩება უფლება, აღნიშნული თანხის თაობაზე იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

ნ. ლ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ ნ. ლ-ის დაზარალებულ ს. ლ-ის სასარგებლოდ 2000 ლარის დაკისრების შესახებ, ხოლო ს. ლ-ეს დარჩეს უფლება, აღნიშნულ თანხაზე იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო სარჩელის წარდგენის საფუძველი

### განჩინება

#830-აპ-09

15 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ის დამცველის, ადვოკატ კ. მ-ის საკავშირეო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-ი, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 11 თვისა და 22 დღის ვადით და გ. გ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 11 თვისა და 22 დღის ვადით. მასვე სსიპ მეურნეობის სასარგებლოდ დაეკისრა 840 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, გ. გ-ს მსჯავრი დაედო საცავში შეღწევით, არაერთგზის ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 5 მაისს გ. გ-ი გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალი პირობითად, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაუწესდა 3 წელი. საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში: 2008 წლის 25 ოქტომბერს გ. გ-მა განიზრახა ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა გარდაბნის რაიონის სოფელ ...-ის ტერიტორიაზე მდებარე სსიპ მეურნეობის კუთვნილ მავთულბადის ლობებს. იმავე დამს მან უკანონოდ შეაღწია აღნიშნულ ტერიტორიაზე, ახსნა ტერიტორიის შიგნით მდებარე, 840 ლარად ღირებული 12 ცალი ფოლადის კუთხოვნებში ჩასმული მავთულის ბადეები, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ, არაერთგზის დაეუფლა მათ. ამის შემდეგ გ. გ-მა მოახსნა გარდაბნის რაიონის სოფელ ს-ში მცხოვრებნი ო. კ-ი და რ. ც-ი, რომლებსაც დაუმალა რეალური ვითარება და უთხრა, რომ მას ნაყიდი ჰქონდა რკინის კუთხოვნებში ჩასმული მავთულბადეები და სთხოვა, რომ ჩამოეტანათ სოფელ ს-ში, რაზედაც დათანხმდა ისინი. იმავე დღით, დაახლოებით 07.30 საათზე, ო. კ-ს კუთვნილი ავტომანქანა, სახელმწიფო ნომერი, გ. გ-მა მითითებული პირების დახმარებით სსიპ მეურნეობის ტერიტორიიდან მავთულბადეები ჩამოიტანა სოფელ -ში, ე.წ. სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე და გადაამალა, რითაც დაზარალებულ -გ. შ-ს მიაყენა 840 ლარის მატერიალური ზიანი.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატმა. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენის გაუქმებასა და გ. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ გ. გ-ს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული. ფოლადის კუთხოვნებში ჩასმული მავთულის ბადეები მან შეიძინა უცნობი პირისაგან, ვინმე „თ-გან“. აპელანტის განმარტებით, მას კიდევაც რომ სდომებოდა მავთულბადეების მოპარვა, ერთი პირი მაინც ვერ შეძლებდა ერთ დამეში 32 მავთულბადის გადმოზიდვას სანერგე მეურნეობიდან 300 მეტრის მანძილზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. გ-ის დამცველის, ადვოკატ კ. მ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენი გ. გ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. გ-ის დამცველმა, ადვოკატმა კ. მ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი კ. მ-ე საჩივრით ითხოვს მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია სამოქალაქო სარჩელის ნაწილშიც, ვინაიდან მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს დადგენილება დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. გ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. გ-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა მეურნეობის კუთვნილი მავთულბადების ფარული დაუფლება. ეს დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა გ. გ-ს მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არც მეურნეობის წარმომადგენელი უცვნიათ სამოქალაქო მოსარჩელედ და არც გ. გ-ი -სამოქალაქო მოპასუხედ, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, რომ მსჯავრდებულ გ. გ-ის მეურნეობის სასარგებლოდ დაეკისრებინათ 840 ლარის გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვება დადგენილება მეურნეობის წარმომადგენლის სამოქალაქო მოსარჩელედ და გ. გ-ის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება დაზარალებული ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ამასთან, დაზარალებულ ორგანიზაციას რჩება უფლება, აღნიშნული თანხის თაობაზე იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. გ-ის დამცველის, ადვოკატ კ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ გ. გ-ის მეურნეობის სასარგებლოდ 840 ლარის დაკისრების თაობაზე, ხოლო სსიპ მეურნეობას დარჩეს უფლება, აღნიშნულ თანხაზე იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმის გამო წარმოების შეწყვეტა

## განჩინება

#970-აპ-09

26 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ხ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის, ასევე -მსჯავრდებულ გ. ხ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ც-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ნოემბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განაჩენით ჯ. ხ-ი და გ. ხ-ე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინეს მკვლელობა; ჯ. ხ-ი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 15 ოქტომბერს, დილით, ჯ. ხ-ი და გ. ხ-ე სტუმრად იყვნენ თბილისში, ო-ს ქ. #26-ში მცხოვრებ მ. ძ-თან. ჯ. ხ-ი სტუმრობის დროს ფარულად დაეუფლა მისადები ოთახის კედელზე ჩამოკიდებულ 2 დანას და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. ამ ქმედებით მან მ. ძ-ს მიაყენა ზიანი 300 ლარის ოდენობით.

2008 წლის 17 ოქტომბერს გარდაბნის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებ, არასრულწლოვან გ. ჩ-ის საცხოვრებელ სახლში ქეიფობდნენ ჯ. ხ-ი, გ. ხ-ე, გ. ჩ-ი, შ. გ-ი და თ. ხ-ი. ქეიფის დასრულების შემდეგ მთვრალ ჯ. ხ-სა და ასევე მთვრალ შ. გ-ს შორის დაწყებული კამათი გადაიხარდა ჩხუბში, რა დროსაც ჯ. ხ-მა და გ. ხ-ემ მოკვლის განზრახვით შ. გ-ს თავისა და სახის არეში რამდენჯერმე დაარტყეს ქვა, შემდეგ კი დანარჩენების დახმარებით უგონო შ. გ-ი ლობიდან გადააგდეს მიწის ერთ-ერთ ნაკვეთში და მიატოვეს. 2008 წლის 21 ოქტომბერს შ. გ-ი მიღებული დაზიანებების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ხ-ეს მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ჯ. ხ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით. მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2008 წლის 19 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ჯ. ხ-მა და გ. ხ-ის ადვოკატმა ს. ც-ემ.

მსჯავრდებულმა ჯ. ხ-მა მოითხოვა გამართლება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის 116-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება.

ადვოკატმა ს. ც-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება და გ. ხ-ის მიმართ კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს აპელანტებმა შეცვალეს მოთხოვნები. ჯ. ხ-მა იშუამდგომლა მისთვის წარდგენილ ბრალდებებში გამართლება და ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 117-ე მუხლით, ხოლო მსჯავრდებულმა გ. ხ-ემ და ადვოკატმა ს. ც-ემ -გ. ხ-ის გამართლება სსკ-ის 109-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და მისი ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 375-ე მუხლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ნოემბრის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

ადვოკატი თ. მ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია და უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯ. ხ-ს დანების მოპარვის განზრახვა არ ჰქონია, მას სურდა მათი მიტანა ხელოსანთან და ანალოგიურის დამზადება, რაც გააკეთა კიდეც და შემდეგ ისინი მესაკუთრის ეზოში გადაყარა, რადგან უკან დაბრუნების სხვა საშუალება არ გააჩნდა. მას არ ჰქონდა ქურდობისა და დაზარალებულისათვის ზიანის მიყენების განზრახვა, ამიტომ ბრალდების ამ ნაწილში უნდა გამართლდეს.

რაც შეეხება განზრახ მკვლელობას ჯგუფურად, ამ ნაწილში სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა მოწმეების -გ. ჩ-ისა და თ. ხ-ის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს, რომელთაც უნდოდათ პასუხისმგებლობის თავიდან არიდება; მათ თავისუფლების სანაცვლოდ გამოძიებას მისცეს არა რეალური ჩვენებები, არამედ -ისეთი, როგორც „აწყობდათ“ ჯ. ხ-ისა და გ. ხ-ისათვის ბრალდების დასამძიმებლად; ჯ. ხ-ის ჩვენებებით, იგი მარტო სცემდა შ. გ-ს და გ. ხ-ე არ მიხმარებია. საქმეში შეკრებილი მტკიცებულებებით არ გამოვლენილა, რომ მსჯავრდებულებს ჰქონდათ შ. გ-ის მოკვლის ერთობლივი განზრახვა; ჯ. ხ-მა სააპელაციო სასამართლოში განაცხადა, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა შ. გ-ის ჯანმრთელობის განზრახ მიმე დაზიანებას პირთა ჯგუფის გარეშე, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა; სავარაუდოა, რომ სამედიცინო დახმარების დროული აღმოუჩენლობის გამო დამძიმდა დაზარალებულის მდგომარეობა, რაც სიკვდილით დამთავრდა; აღსანიშნავია ისიც, რომ ჯ. ხ-ისა და გარდაცვლილის სისხლი ერთი და იმავე ჯგუფისაა, მაგრამ მსჯავრდებულის ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლი ვის ეკუთვნის, არ არის დადგენილი.

მსჯავრდებულთა ბრალეულობის დასადასტურებლად ვერ გამოდგება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ მ. ლ-ის ჩვენებები, რადგან დამცველთა მიერ დასმული კითხვების დიდი ნაწილი უპასუხოდ დარჩა, რაც დასტურდება სასამართლო სხდომის ოქმით. ასეთ შემთხვევაში საექვო მტკიცებულებების ბედი სასამართლოს მსჯავრდებულის საწინააღმდეგოდ არ უნდა გადაეწყვიტა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ჯ. ხ-მა დანაშაული ჩაიდინა არა სიცოცხლის, არამედ -ჯანმრთელობის წინააღმდეგ და მას არ ჰქონია შ. გ-ის მოკვლის წინასწარი განზრახვა.

განაჩენი ჯ. ხ-ისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილშიც უკანონოა, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ ის, რომ იგი პირველადაა სამართალში, აღიარებდა და იხანებდა ჩადენილ დანაშაულს, ხასიათდება დადებითად, ჰყავს მცირეწლოვანი შვილი და პატიება სთხოვა დაზარალებულს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი თ. მ-ი ითხოვს ჯ. ხ-ის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, მისი ქმედების სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიდან 117-ე მუხლის მე-2 ნაწილზე გადაკვალიფიცირებას.

მსჯავრდებული გ. ხ-ე და ადვოკატი ს. ც-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს; წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევით.

კასატორთა მოსაზრებით, მოწმეების -თ. ხ-ისა და გ. ჩ-ის ჩვენებები სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა, რადგან ისინი დაინტერესებულები არიან; საქმის წარმოებისას დაირღვა საქართველოს სსკ-ის 246-ე და 640-ე მუხლების მოთხოვნები. მტკიცებულებად არ უნდა გამოეყენებინათ ამოცნობის ოქმები და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა; ექსპერტიზის დასკვნით არ არის დადგენილი მიზეზობრივი კავშირი გ. ხ-ის ქმედებასა და შ. გ-ის გარდაცვალებას შორის, ვარაუდი კი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

საყურადღებოა, რომ შ. გ-ის მკვლელობის განზრახვა რომ ყოფილიყო, ამსრულებელს მისი სისრულეში მოყვანის შესაძლებლობა ადგილზევე ჰქონდა, მიზნის მისაღწევად ხელისშემშლელი გარემოება არ არსებობდა, ამიტომ კონკრეტულ შემთხვევაში განზრახ მკვლელობაზე საუბარი სამართლებრივად უსაფუძვლოა; საქმეში არ მოიპოვება ჯგუფურად განზრახ მკვლელობის დამადასტურებელი არავითარი მტკიცებულება; საქმეზე დადგენილი გარემოებები არ მოიცავს სსკ-ის 27-ე მუხლით განსაზღვრული ჯგუფური დანაშაულის ნიშნებს. სისხლის სამართლის კოდექსით, ორი ან მეტი პირის მიერ ერთდროულად, ჯგუფურად დანაშაულის ჩადენას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ერთი მონაწილის ქმედება მეორე თანამონაწილის ქმედებას ავსებს, რაც ხელს უწყობს მათ საერთო მიზნის მიღწევაში. კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებლის ასეთი მოთხოვნა მთლიანად გამორიცხავს დანაშაულებრივი ჯგუფის არსებობას. ეჭვით გ. ხ-ისათვის ჯგუფური დანაშაულის შერაცხვა სამართლებრივად უსაფუძვლოა და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნას, ხოლო ის ფაქტი, გ. ხ-ეს შ. გ-ის მიმართ არავითარი დანაშაულებრივი განზრახვა რომ არ ჰქონია, დავას არ იწვევს; მას არ შეეძლო ჯ. ხ-ის განზრახვის გაცნობიერება, ამიტომ გ. ხ-ის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით; გ. ჩ-ისა და თ. ხ-ის ჩვენებებით, ისინი მხოლოდ ჯ. ხ-ს მოუწოდებდნენ, ჩხუბი შეეწყვიტათ, რაც იმას ადასტურებს, რომ გ. ხ-ეს ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის აზრით, საქმის უკანონო გამოყოფამ არსებითი დაბრკოლება შეუქმნა საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, რითიც დაირღვა სსკ-ის მე-18 და მე-19 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები. ყოველივეს გათვალისწინებით,

მსჯავრდებული გ. ხ-ე და ადვოკატი ს. ც-ე ითხოვენ განაჩენის შეცვლას -გ. ხ-ის ქმედების სსკ-ის 375-ე მუხლით დაკვალიფიცირებას.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც ირკვევა, თ. ხ-ი და გ. ჩ-ი ამ დანაშაულის დაფარვისათვის პასუხისმგებელი იყვნენ მიცემულნი. მათ მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაზე მსჯავრდებულებიც არ მიუთითებენ და ჩვენების მიცემისას მოწმეების რაიმე დაინტერესებაზე აპელირება უსაფუძვლოა.

თ. ხ-ისა და გ. ჩ-ის ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია. ისინი განმარტავენ, რომ ჯ. ხ-მა და გ. ხ-ემ დაზარალებულს, სულ ცოტა, ორ-ორჯერ ჩაარტყეს დიდი ქვა თავში.

პალატა აღნიშნავს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია და უტყუარად დასტურდება. ჩადენილი ქმედებებიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა საჩივრის მოტივი, თითქოს ჯ. ხ-სა და გ. ხ-ეს არ სურდათ შ. გ-ის მოკვლა. გარდა იმისა, რომ დაზარალებულს თავში არაერთხელ ჩაარტყეს დიდი ქვა, თვით გ. ხ-ე სასამართლოში განმარტავს, რომ შ. გ-ი იყო მძიმე მდგომარეობაში, ფეხზე ვერ დგებოდა და თავიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ იგი გზიდან მოშორებით, მიტოვებულ ეზოში გადააგდეს და მიიმაღნენ.

ქურდობის ეპიზოდთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს, რომ ჯ. ხ-ს არ ჰქონდა დაზარალებულის ნივთების მისაკუთრების მიზანი, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში გაურკვეველია, რატომ არ ჰქონდა მსჯავრდებულს დაუფლებული ნივთების მისაკუთრისათვის დაბრუნების სხვა საშუალება (მეორე დღეს ეზოში გადაყრის გარდა).

ჯ. ხ-მა სასამართლოს განუმარტა, რომ სხვის ნივთებს ფარულად დაეუფლა, რადგან მანამდე ამ ნივთების დროებით გადაცემაზე დაზარალებულმა უარი უთხრა, მაგრამ მ. ძ-ი ამ ფაქტს არ ადასტურებს. იგი აღნიშნავს, რომ ჯ. ხ-ის საქციელი ძალიან გაუკვირდა.

შეკრებილი მტკიცებულებების ანალიზით იკვეთება, რომ ჯ. ხ-ს ნივთები ნებაყოფლობით არ დაუბრუნებია, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც ეს გარემოება მისი ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, რადგან სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზანი სახეზეა და ეჭვს არ იწვევს.

უსაფუძვლოა კასატორთა მოტივები მიზეზობრივი კავშირის დაუდგენლობის, ასევე -შ. გ-ის გარდაცვალების მიზეზად დროული სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის თაობაზე.

ექსპერტის დასკვნით დადგენილია, რომ შ. გ-ს აღნიშნებოდა ქალა-ტვინის ღია ტრავმა, ქალასა და ქვედა ყბის ძვლის ორმხრივი მოტეხილობა. სიკვდილი გამოიწვია თავის ტვინის ტრავმულმა დაჟეჟილობამ-შეშუპებამ, თავის ტვინში ტრავმული სისხლჩაქცევით.

სააპელაციო სასამართლომ სრულად და ობიექტურად გამოიკვლია და შეაფასა საქმეში არსებული მასალები, გაარკვია მტკიცების საგნის ყველა გარემოება და მსჯავრდებულთა ქმედებები სამართლებრივად სწორად შეაფასა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სასჯელის დაწინაშის ნაწილში -სამართლიანი.

ამასთან, დაზარალებულის უფლებამონაცვლე დ. გ-მა სასამართლოში უარი განაცხადა სამოქალაქო სარჩელზე, რასაც სათანადო ყურადღება არ მიექცა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რაც უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განაჩენით, დაზარალებულს დარჩა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის უფლება.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-7 და მე-40 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების შესაბამისად, სარჩელზე უარს მოსდევს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსარჩელეს უფლება ერთმევა, განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძვლით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა აღნიშნულისა, სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ჯ. ხ-ის ადვოკატ თ. მ-ის, ასევე -მსჯავრდებულ გ. ხ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ ს. ც-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.



თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: დაზარალებულ დ. გ-ი სამოქალაქო სარჩელის გამო შეწყდეს წარმოება სარჩელზე უარის გამო.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე

### განჩინება

#871-აპ-09

28 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ო. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ვ. როინიშვილი,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. პ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. გ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრის განაჩენით გ. პ-ი და დ. ნ-ა ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად და საცავში უკანონო შეღწევით ჩაიდინეს ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. პ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 8 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალი პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. აღნიშნულის მიუხედავად, მან კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ: 2007 წლის 15 აპრილს გ. პ-ი დაუკავშირდა თავის ნათესავ დ. ნ-ას. მათ განიზრახეს, უკანონოდ შეეღწიათ ისნის ბაზრობის ტერიტორიაზე მდებარე რომელიმე სავალუტო ჯიხურში და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს. იმავე დღეს, ღამის საათებში, დ. ნ-ა და გ. პ-ი მივიდნენ ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ. ხ-ის სავალუტო ჯიხურთან, გამოანგრიეს უკანა კედელი და შეაღწიეს შიგნით, სადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ დ. ხ-ის კუთვნილ ნივთებსა და ფულს, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენეს 3940 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 2007 წლის 6 მაისს დააკავეს დ. ნ-ა, ხოლო იმავე წლის 31 მაისს - გ. პ-ი.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ნ-ას მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3500 ლარი, ხოლო გ. პ-ს - 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი, 9 თვე, 10 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის, 6 თვისა და 10 დღის ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა - 4000 ლარი. დ. ნ-ას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 მაისიდან, გ. პ-ს კი - 31 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების ადვოკატებმა - თ. გ-მა და მ. გ-ამ. ადვოკატმა თ. გ-მა ითხოვა დ. ნ-ას ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დაკვალიფიცირება, ხოლო ადვოკატმა მ. გ-ამ - გ. პ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლება.

სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 18 აპრილის #279 განკარგულების საფუძველზე დ. ნ-ა შეწყალებულ იქნა და საქმის განხილვა გაგრძელდა მხოლოდ გ. პ-ის მიმართ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენით მ. გ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: გ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯა 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მე-

ოთხედით და განესაზღვრა 4 წლით, 3 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის, 1 თვისა და 3 დღის ვადით.

კასატორი -ადვოკატი მ. გ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან კანონი არასწორადაა გამოყენებული, მსჯავრდებულის ქმედება არასწორადაა დაკვალიფიცირებული; განაჩენი გამოტანილია სათანადო სამართლებრივი პროცედურების არსებითი დარღვევებით; დაცის მხარეს არ მიეცა ფონოსკოპიური ექსპერტიზის 2007 წლის 22 ოქტომბრის დასკვნის, როგორც მტკიცებულების, ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის უფლება, რითიც დაირღვა საქართველოს სსსკ-ის მე-16 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-5 ნაწილების მოთხოვნა; აღნიშნული დასკვნა აშკარად ადასტურებს, რომ ბრალდების მოწმეებმა ე. დ-მა და გ. თ-მა მისცეს ცრუ ჩვენება, სასამართლომ კი დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, დაცვას არ მისცა ამ მტკიცებულების სრულფასოვნად გამოკვლევის საშუალება, რაც დაადასტურებდა გ. პ-ის უდანაშაულობას; თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს გამომძიებელმა გ. ყ-მა ზემოაღნიშნული მოწმეები დაკითხვისას გააფრთხილა სსკ-ის 371<sup>1</sup>-ე მუხლით, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. გამომძიებელმა ჩვენება მიიღო კანონით დადგენილი წესის დარღვევით; ანალოგიური შეცდომა დაუშვა მოსამართლემ, როდესაც ამ მოწმეებს ჩამოართვა ხელწერილი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და არა -ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის;

ადვოკატის აზრით, ე. დ-ის ჩვენებით, მან იცოდა, რომ გ. პ-მა და დ. ნ-ამ ჩაიდინეს ჯგუფური ქურდობა, რაც მძიმე დანაშაულის კატეგორიას განეკუთვნება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ე. დ-მა ჩაიდინა უკანონო ქმედება -დანაშაულის შეუტყობინებლობა. გამომძიებამ შეგნებულად არ მისცა იგი პასუხისგებაში, რათა კანონის დარღვევით მიეღო მისგან სასურველი ჩვენება. საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი. ამდენად, ე. დ-ის ჩვენება ვერ დაედება გ. პ-ის ბრალეულობას საფუძვლად და, სსსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იყოს ცნობილი. ამის შემდეგ, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ე. დ-მა უარყო წინა ჩვენებები და განაცხადა, რომ მას გ. თ-ისათვის არ უთქვამს, რომ კომპიუტერი იყო მოპარული ანუ მოწმემ ფიცის ქვეშ მისცა ცრუ ჩვენება;

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ გ. პ-ის ამოცნობა ჩატარდა კანონის დარღვევით; სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა ფონოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნისა და საბილინგო ჩანაწერების გამოთხოვის შესახებ. ჩანაწერები ნათელს მოჰფენდა იმ გარემოებას, რომ ე. დ-ი არაერთხელ იყო მისული დ. ნ-ას ოჯახში და ითხოვდა 400 ლარს პოლიციაში საქმის მოსაგვარებლად; ასევე არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ფონოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე დართული მიყურადების მასალების მიხედვით გ. პ-ის ხმის იდენტიფიკაციის დადგენის მიზნით, დამცველისა და მსჯავრდებულის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების სრულად გაცნობის შემდეგ. სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი გასაუქმებელია ყველა შემთხვევაში, თუ ბრალდებული ან მისი დამცველი არ იყვნენ უზრუნველყოფილი საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლებით; სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით მოწმე ე. დ-ის ხმის იდენტურობის დასადგენად. ამით დაირღვა სსსკ-ის მე-15 მუხლის მოთხოვნები; ე. დ-ისა და გ. თ-ის ჩვენებებს შორის მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით არსებითი წინააღმდეგობებია, რაც სასამართლომ არ გაარკვია და არ აღმოფხვრა; დაცვამ კიდევ ერთხელ დააყენა ზემოთ მითითებული შუამდგომლობა, რომელიც არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის მოტივით, თუმცა აღნიშნული მხარისათვის გადაცემულ სასამართლო სხდომის ოქმში არ იკითხება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქმეს ერთვის არასათანადოდ შედგენილი სასამართლო სხდომის ოქმი;

ადვოკატ მ. გ-ას მოსაზრებით, სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, როდესაც სასამართლოს ინიციატივით გამოძახებული მოწმის -ე. დ-ის დაკითხვის ნება თავიდანვე მისცა ბრალდების მხარეს, რაც დასტურდება სხდომის ოქმით. ე. დ-ის ჩვენებით, მას მოასმენინეს თავისი ხმა, ანუ ჩანაწერი არსებობს, მაგრამ ეს მტკიცებულება საქმიდან გამქრალია. იგი გამოიყენეს ე. დ-ისაგან სასურველი ჩვენების მისაღებად, რომლის „საფასურად“ ის არ მისცეს პასუხისგებაში; სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის ერთი შუამდგომლობა საბილინგო ჩანაწერების გამოთხოვის შესახებ, თუმცა ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის 1-ლი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 19 მაისის წერილით, საბილინგო ჩანაწერი განადგურდა იმიტომ, რომ დათქმულ 5-დღიან ვადაში პროცესის მწარმოებელმა ორგანომ ისინი არ გამოითხოვა. აღნიშნულით დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა; სააპელაციო სასამარ-

თლომ არ ჩაატარა სრულყოფილი სასამართლო გამოძიება, არ გაარკვია და არ აღმოფხვრა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობები, არ ჩაატარა ფონოსკოპიური ექსპერტიზა, არ დაკითხა მოწმე გ. თ-ი, მოწმე ე. დ-ის ჩვენებები დამაჯერებლად და სარწმუნოდ მიიჩნია, მაშინ, როდესაც ბრალდების ამ მოწმემ ფიცის ქვეშ სამჯერ შეცვალა პოზიცია და სამჯერვე სხვადასხვა ჩვენება მისცა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. გ-ა ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენების გაუქმებას, გ. პ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასა და მის განთავისუფლებას უკანონო პატიმრობიდან.

პროკურორი ნ. მ-ე შესაგებელში აღნიშნავს, რომ ადვოკატ მ. გ-ას მიერ საკასაციო საჩივარში მოყვანილი გარემოებები გადმოცემულია რეალური ფაქტების დამახინჯებით. მსჯავრდებულ გ. პ-ის მამა ლ. პ-ი სიცოცხლის მოსპობის მუქარით აიძულებდა ბრალდების მოწმეებს - ე. დ-სა და გ. თ-ს ჩვენების შეცვლას. ლ. პ-ი დააკავეს ჩვენების შეცვლის მიზნით მოწმეზე განხორციელებულ იძულების ფაქტზე და პირობითი მსჯავრი მიუსაჯეს. მიუხედავად ამისა, ის კვლავ აგრძელებდა მოწმეების შანტაჟსა და მათზე ზეწოლას. მოწმე გ. თ-მა სააპელაციო სასამართლოსაკენ კი მიმართა თხოვნით, დახმარებოდნენ ოჯახის უსაფრთხოების დაცვაში, რაც დასტურდება სასამართლო სხდომის ოქმითაც. მოწმე ე. დ-მა სასამართლოში ფიცის ქვეშ სამჯერ ამხილა დ. ნ-ა და გ. პ-ი დანაშაულის ჩადენაში. დაცვას მხოლოდ ერთადერთი ხელმოსაჭიდი - ფონოსკოპიური ექსპერტიზა დარჩა გაურკვეველი წარმოშობის ჩანაწერზე. სასამართლოზე დაკითხულმა ექსპერტმა ა. მ-ამ კატეგორიულად გამორიცხა აღნიშნული ჩანაწერის შემთხვევით განხორციელების შესაძლებლობა და მიუთითა, რომ ჩანაწერში ორი მოსაუბრე აშკარად წინასწარ მომზადებული ტექსტით საუბრობს და მათ ჩამწერი მოწყობილობა საუბრისას პირთან ძალიან ახლოს უნდა ჰქონოდათ მიტანილი, რათა დაბალი ხარისხის აპარატზე ჩაწერა მომხდარიყო; ჩაწერის პროცესში აპარატის ჯიბეში დება ან მოსაუბრეთათვის ძალიან მისი განხორციელება შეუძლებელია. ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარება ე. დ-ის ხმის იდენტიფიკაციის მიზნით პროცესის გაჭიანურებას ემსახურებოდა და სწორედ ამიტომ უთხრა სასამართლომ დაცვას უარი ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული მოწმის ხმა რომ ყოფილიყო, რა უშლიდა ე. დ-ს ხელს, ეთქვა, რომ მართლაც აიძულა ლ. პ-მა წინასწარ მომზადებული ტექსტის მიხედვით ესაუბრა;

რაც შეეხება ე. დ-ის მიერ ნ-ას ოჯახისაგან 400 ლარის მოთხოვნას, თავად მოწმემ დაადასტურა, რომ რამდენჯერმე მივიდა დ. ნ-ას ოჯახში და გამოართვა კომპიუტერში გადახდილი თანხა, რაც დაუბრუნა გ. თ-ს და რაც დაადასტურა დ. ნ-ამაც. გ. თ-მა სასამართლოს წინაშე განმარტა, რომ თავდაპირველად ცდილობდა სიმართლის დამალვას, რადგან პასუხისმგებლობა მოუწევდა და თან გ. პ-ისა და დ. ნ-ას გაწირვაც არ უნდოდა, მაგრამ ადვოკატის აყვანისა და საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მიხვდა, რომ სიმართლის დამალვას აზრი არ ჰქონდა და ყოველგვარი ზეწოლის გარეშე მისცა სწორი ჩვენება. მას მსჯავრდებულების მიმართ არანაირი პირადი ინტერესი არ ამოძრავებს და არც მათი ამოცნობა გასჭირვებია.

აღსანიშნავია, რომ თავად გ. პ-ისა და დ. ნ-ას მიერ ურთიერთგამომრიცხავა და არათანმიმდევრულმა ჩვენებებმა, სხვა უამრავ ფაქტორთან ერთად, შეუქმნა სასამართლოს მათი ბრალეულობის შინაგანი რწმენა. სასამართლომ თავისი ინიციატივით დაკითხა გ. თ-ი და ე. დ-ი და მიიჩნია, რომ მოწმეთა ჩვენებების სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა. მათ განაცხადეს, რომ იცოდნენ, მსჯავრდებულები მოპარულ კომპიუტერს რომ ყიდდნენ. ე. დ-მა ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა, რომ პროცესის მწარმოებელ პირებს არც იძულება და არც რაიმე სახის ზეწოლა არ მოუხდენიათ. მეტიც, მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ გ. პ-ის ოჯახის წევრები და აიძულებდნენ, ჩვენება განსასჯელთა სასარგებლოდ შეეცვალა. მათი მხრიდან მუქარის განხორციელების რეალური შიშის გამო იძულებული გახდა, შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი. მოწმემ ასევე დაადასტურა, რომ ლ. პ-თან არანაირი საუბარი პოლიციელების მხრიდან მასზე ზეწოლის ფაქტზე არ ჰქონია, მისთვის გ. პ-ის სურათი წინასწარ არავის უჩვენებია და იგი ამოსაცნობ 4 პირს შორის უპრობლემოდ ამოიცნო. შესაბამისად, შეუძლებელია, არსებობდეს რაიმე შინაარსის ჩანაწერი მისი მონაწილეობით, რაზეც აპელირებდა დაცვის მხარე;

პროკურორი ასევე აღნიშნავს, რომ მოწმის სახით დაკითხვისას დ. ნ-ა შეეცადა, შეცდომაში შეეყვანა სასამართლო და გ. პ-ის გადასარჩენად თავის თავზე აეღო დანაშაული, რაც მან ვერ შეძლო, რადგან თავად გ. პ-ის მიერ მიცემული ჩვენების სრულიად საპირისპირო ფაქტები განაცხადა, რომლებიც არსებითად ეწინააღმდეგება მის მიერ წინასწარი და სასამართლო გამოძიების პროცესში მიცემულ სხვა ჩვენებებს. დ. ნ-ა ცდილობდა, დაესაბუთებინა, რომ დანაშაული მართლმ ჩადინა, ამიტომ სასამართლოს შესთავაზა დაუჯერებელი ვერსია, რომელიც გამოგონილია გ. პ-ის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით. მან უარყო გ. პ-ის მიერ გაცხადებული ფაქტი, რომ ბათუმში გაიცნო ე. დ-ის გამზრდელი ე. ბ-ე; თითქოს გ. პ-თან ერთად არ იმა-

ლებოდა და არც მასთან ერთად მატარებლით გაქცევას ცდილობდა. დ. ნ-ა ვერ ხსნიდა, რატომ იმალებოდა „უდანაშაულო“ გ. პ-ი, ვის გაურბოდა და სად ცდილობდა მატარებლით გაპარვას; დ. ნ-ის სავაჭრო ჯიხურიდან მოპარული მონობარათები უმაღლვე გააქტიურდა ა. პ-ზე გაფორმებულ ნომერზე, რომლითაც გ. პ-ი სარგებლობდა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდებამ კრიმინალისტიკური სამსახურიდან გამოითხოვა და სასამართლოს საქმეზე დასართავად წარუდგინა შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტოების როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ვერსია, რადგან პოლიციელების მიერ გადაღებული ფოტოები ტექნიკური მიზეზების გამო გაფუჭდა. ამ ფოტოების მიხედვით, ცალსახაა, რომ შეუძლებელია, იმ კონსტრუქციის შენობაში, რომელიც შემთხვევის ადგილს წარმოადგენს, ერთ, თუნდაც უდიდესი შესაძლებლობის მქონე ადამიანს, მარტოს შეეღწია და აღნიშნული დანაშაული ჩაედინა. საყურადღებოა ისიც, რომ შემთხვევის ადგილზე გადაღებულ ფოტოებზე თარიღი და ზუსტი დრო ფიქსირდება. ეს ფოტოები გადაღებულია სპეციალური ციფრული აპარატით ოფიციალური ორგანოს მიერ და თარიღის მიხედვით იხსნება კრიმინალისტიკური სამსახურის სპეციალურ ბაზაში. დ. ნ-ასა და გ. პ-ის ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში დასტურდება საქმეში არსებული ფარული აუდიო-ჩანაწერების ამონაწერითაც, რომელთა გაცნობის შემდეგ ყოველგვარი ეჭვი გ. პ-ის უდანაშაულობაზე ქარწყლდება. იგი უკავშირდება ე. დ-ს გამზრდელ ე. ბ-ეს და სთხოვს, დაურეკოს და „მოაკეტინოს“ ე. დ-ს, რადგან „ის და დ. ძაღლობაში ჩაუშვა“.

პროკურორის აზრით, გამოძიებაში მოპოვებული მტკიცებულებები საქმესთან შემხებლობის, მათი ურთიერთშეჯერებისა და უტყუარობის გათვალისწინებით, საკმარისია იმის დადასტურებლად მიჩნევისათვის, რომ გ. პ-მა ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. სააპელაციო პალატამ ამომწურავად გამოიკვლია მისი ბრალეულობისა და უდანაშაულობის დამატასტურებელი მტკიცებულებები და მიიღო ობიექტური, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება. გ. პ-ის მიმართ პირადი ინტერესი არავის გააჩნია და მან, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხი უნდა აგოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურორი ნ. მ-ე შესაგებლით ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს ადვოკატ მ. გ-ას საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენი გ. პ-ის მიმართ, როგორც დასაბუთებული და სამართლიანი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულის დამცველი მიუთითებს, რომ მოწმე ე. დ-ის ჩვენებები მიღებულია ზეწოლის შედეგად, მაგრამ ე. დ-ი მიუთითებს პირიქით – რომ მასზე პოლიციელთა მხრიდან რაიმე ზემოქმედება არ მომხდარა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის განაჩენით ირკვევა, რომ გ. პ-ის მამა მოკვლის მუქარით და ძალადობით მოითხოვდა ე. დ-ისაგან ჩვენების შეცვლას, რის გამო მოწმემ საცხოვრებელი ადგილიც შეიცვალა. ე. დ-მა სააპელაციო სასამართლოში განაცხადა, რომ გ. პ-ის ნათესავები სახლში აკითხავდნენ და მისგან ჩვენების შეცვლას მოითხოვდნენ და ამიტომ საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა.

პალატა აღნიშნავს, რომ ე. დ-ის ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია. ადვოკატის მტკიცების საპირისპიროდ, მოწმეს ჩვენება არ შეუცვლია. მისი სასამართლოში მიცემული განმარტებებით, გ. თ-მა იცოდა, რომ მოპარულ კომპიუტერს ყიდულობდა. ამ უკანასკნელმა ჰკითხა დ. ნ-ას და გ. პ-ს – პრობლემა ხომ არ შემექმნებაო, რაზეც გ. პ-მა უპასუხა – ჩვენი მოპარულია, თვენახევარია ჩვენ გვაქვს და პრობლემა არ გექნებაო. ე. დ-მა ასევე აღნიშნა, რომ საფასურის შემცირებაზე გადაწყვეტილება გ. პ-მა მიიღო. მოწმე გ. თ-ი აღნიშნავს, რომ დ. ნ-ამ და გ. პ-მა უთხრეს – კომპიუტერი ჩვენი მოპარულია, მაგრამ ამის შესახებ არავინ იცის და პრობლემა არ გექნებაო. მოწმემ ისიც აღნიშნა, რომ მის მიმართ საქმის წინასწარი გამოძიებისას ზეწოლა არ ყოფილა და თავად გადაწყვიტა, ეთქვა სიმართლე.

კასატორი მიუთითებს, რომ ე. დ-თან საუბრის აუდიო ჩანაწერით დასტურდება, როგორი ზეწოლის შედეგად მოიპოვა ბრალდების მხარემ მათთვის სასურველი ჩვენება და რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ე. დ-ის ხმის იდენტიფიკაციის მიზნით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

პალატა აღნიშნავს, რომ უდავოდ დადგენილია მოწმე ე. დ-ის მიმართ ზეწოლა ჩვენების შეცვლის მიზნით, მაგრამ არა ბრალდების მხარის, არამედ გ. პ-ის ახლო ნათესავის მხრიდან. ამასთან, ე. დ-ი უარყოფს მის მიმართ ზეწოლასთან დაკავშირებით გ. პ-ის მამასთან საუბარს.

მსჯავრდებულის დამცველი იშველიებს ექსპერტ ა. მ-ას ჩვენების ნაწილს, თუმცა ექსპერტი ასევე აცხადებს, რომ "ეს იყო წინასწარ განზრახული საუბარი. არ არის გამორიცხული, წინასწარ გამიზნული ტექსტის ჩაწერა მომხდარიყო. ტექსტში ერთი დიქტორი სხვა კითხვას სვამს, ხოლო მეორე -სულ სხვას პასუხობს".

ამრიგად, საფუძვლიანია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ფონოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით და იგი არ ეყრდნობა მხოლოდ ე. დ-ის განმარტებას.

გარდა ე. დ-ისა, გ. თ-იც აღნიშნავს, რომ მას და მის ფეხმძიმე მეუღლეს ემუქრებოდნენ და მოითხოვდნენ ჩვენების შეცვლას, რის გამოც მოწმემ სასამართლოს სთხოვა დახმარება.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა საკასაციო პალატის სავალდებულო მითითებები, მათ შორის -სრულყოფილი სასამართლო გამოძიების ჩატარების შესახებ.

პალატა აღნიშნავს, რომ ეს მითითება ემსახურებოდა მტკიცებულებათა შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრას. მისი მიზანი არ იყო ფორმალური და, შესაბამისად, არ მოითხოვდა უკლებლივ ყველა მოწმის, მათ შორის -გ. თ-ის დაკითხვას. სააპელაციო სასამართლოში დაიკითხა ე. დ-ი, რომლის ჩვენება არ ეწინააღმდეგება გ. თ-ის განმარტებებს, კერძოდ:

მართალია, გ. თ-ი ერთგან მიუთითებს, რომ მასსა და ნ-ა-პ-ის საუბრის შინაარსი სხვას არავის ეცოდინებოდა, მაგრამ იმავე ჩვენებაში აღნიშნავს: "დ-იც იქ იყო, მაგრამ არ ვიცი, ესმოდა თუ არა ჩვენი საუბარი. მ-ი (კომპიუტერის ხელოსანი) კომპიუტერთან იჯდა და საუბარი არ ესმოდა".

ე. დ-ი სააპელაციო სასამართლოში განმარტავს, რომ დ. ნ-ა, გ. პ-ი და გ. თ-ი მოშორებით გავიდნენ. ამ უკანასკნელს ე. დ-ისთვის არ უთქვამს -გამომყევით, მაგრამ მაინც გაჰყვა და მათი საუბარი ესმოდა.

აღნიშნულს ადასტურებს ე. მ-იც და განმარტავს, რომ ბინაში იმყოფებოდა გ. თ-ლთან და ე. დ-თან ერთად. მოგვიანებით მოიტანეს კომპიუტერი. ე. მ-ი კომპიუტერს ამოწმებდა, ხოლო სხვები -ოთახიდან გავიდნენ.

ე. დ-ს დ. ნ-ამ თავიდანვე უთხრა -კომპიუტერი მოპარულიაო. გ. თ-მაც იცოდა, რომ ე. დ-ი ყველაფრის საქმის კურსში იყო, რადგან როდესაც კომპიუტერის ყიდვა შესთავაზა, უთხრა -ალბათ მოპარულია, საბუთები არ აქვსო. ამდენად, ე. დ-ისაგან ფარულ მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა, რადგან სწორედ მან შესთავაზა გ. თ-ს მოპარული კომპიუტერის შეძენა და ფასიც უთხრა, ხოლო მოსალაპარაკებლად მოშორებით გასვლის მიზეზი გ. თ-მა აღნიშნა -არ მინდოდა მ-ს (კომპიუტერის ხელოსანს) გაეგო, რომ კომპიუტერი მოპარული იყო. ამასვე მიუთითებს ე. დ-ი: "გ-მ უთხრა და დ-ს და გ-ს -არ მინდა, ჩემმა მშაკაცმა გაიგოს, რომ მოპარულია, მას უნდა ვუთხრა, თითქოს გერმანიიდან ჩამომიტანესო და მოშორებით გავიდნენ".

საგულისხმოა თავად მსჯავრდებულთა სასამართლოში მიცემული ჩვენებები. დ. ნ-ა აღნიშნავს: "ჩვენს შორის მოლაპარაკებას არ ესწრებოდა მესამე პირი (კომპიუტერის ხელოსანი)". ამავე ჩვენებით, როდესაც დ. ნ-ამ კომპიუტერის გაყიდვაში დამხარება სთხოვა ე. დ-ს, გ. პ-ი იქ არ იმყოფებოდა. ეს უკანასკნელი განმარტავს პირიქით -რომ ნ. დ-ი ნახა მხოლოდ ერთხელ, როცა დ. ნ-ამ უთხრა -კომპიუტერის გაყიდვა მინდაო. მაგრამ, გ. პ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ მან მეორედაც ნახა ე. დ-ი, რადგან ესწრებოდა გ. თ-თან მოლაპარაკებას. სააპელაციო სასამართლოში დ. ნ-ა აღნიშნავს, რომ სურდა ერთმანეთისთვის გაეცნო ე. დ-ი და გ. პ-ი და მას ამიტომ სთხოვა, გაჰყოლოდა. ამის საპირისპიროდ, გ. პ-ის ჩვენებით, იგი მანამდე იცნობდა ე. დ-ს.

ე. დ-ი პირველი ინსტანციის სასამართლოში მიუთითებს, რომ მას დ. ნ-ამ და გ. პ-მა სთხოვეს მოპარული კომპიუტერის გაყიდვაში დახმარება, ხოლო სააპელაციო სასამართლოში აღნიშნავს -დ. ნ-ამ მიუთხრა, ამ ქუჩაზე არავინაა ისეთი, ვისაც ვენდობი და კომპიუტერი გამაყიდინეო. აღნიშნული საუბრისას დ. ნ-ას გ. პ-იც ახლდა.

ამრიგად, მოწმის და თვით მსჯავრდებულის ჩვენებებით იკვეთება, რომ ე. დ-თან მოპარული კომპიუტერის გაყიდვასთან დაკავშირებით საუბარს და შემდეგ გ. თ-თან მოლაპარაკებას გ. პ-იც ესწრებოდა.

დ. ნ-ას ჩვენებით, მან უთხრა ე. დ-ს, რომ კომპიუტერი მოპარული იყო და, ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამის თაობაზე გ. პ-საც არ სცოდნოდა, რასაც მსჯავრდებული კატეგორიულად უარყოფს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამართლებრივი პროცედურის არსებით დარღვევებს. განაჩენის დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად. მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა სწორი კვალიფიკაცია, ხოლო დანიშნული სასჯელი შეესაბამება გ. პ-ის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

ამასთან, წინა სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, გ. პ-ი დააკავეს 2006 წლის 18 ოქტომბერს და იგი პატიმრობიდან გათავისუფლდა 2007 წლის 8 იანვარს –განაჩენის გამოტანის დღეს. შესაბამისად, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან –5 წლით თავისუფლების აღკვეთიდან, გ. პ-ს მოხდელი ჰქონდა 2 თვე, 21 დღე და მოსახდელად დარჩენილი ჰქონდა 4 წლით, 9 თვით და 9 დღით და არა 4 წლით, 9 თვით და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა, როგორც ეს გასაჩივრებულ განაჩენშია მითითებული.

გარდა ამისა, დაზარალებულმა და სამოქალაქო მოსარჩელე დ. ხ-მა სასამართლოში განაცხადა, რომ გარდა იმ ნივთებისა, რაც დაუბრუნდა, სხვა ნივთების ღირებულების ანაზღაურებას არ ითხოვს.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-7 ნაწილისა და მე-40 მუხლის შესაბამისად, სარჩელზე უარს მოსდევს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსარჩელეს უფლება ერთმევა, განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძვლით, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენით არ გადაწყვეტილა ნივთმტკიცებად ცნობილი და საგამომიებოს მოქმედებათა ამსახველი "ჩD" დისკების საკითხი, რაც უნდა დაზუსტდეს. ამასთან, ნივთმტკიცებად ცნობილი კომპიუტერი საქმის წინასწარი გამოძიებისას ხელწერილით ჩაჰპარდა დ. ხ-ს და გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ამ კომპიუტერის კანონიერი მფლობელისათვის გადაცემის შესახებ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. პ-ის ადვოკატ მ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს: გ. პ-ისათვის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს –4 წლით, 3 თვით და 23 დღით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი –4 წელი, 9 თვე, 9 დღე და გ. პ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 9 წლით, 1 თვით და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა;

დაზარალებულ დ. ხ-ის სამოქალაქო სარჩელის გამო წარმოება შეწყდეს;

ნივთმტკიცებად ცნობილი "ჩD" დისკები ინახებოდეს ამ საქმესთან ერთად;

განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ნივთმტკიცებად ცნობილი კომპიუტერის კანონიერი მფლობელისათვის გადაცემის შესახებ.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე**

#### **განჩინება**

#1019-აპ-09

7 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. მ-მისა და მისი დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის განაჩენით ნ. მ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ბრალდების ხუთი ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დიდი ოდენობით და არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. მ-ძემ, სარგებლობდა რა ნდობით, 2003 წლის აპრილში თბილისში, ... ქ. #33-ში მცხოვრებ თამარ თ-ძის ოჯახს კომერციული საქმიანობის დაწყების მიზნით შესთავაზა ხსენებულ მისამართზე მდებარე მათი საცხოვრებელი ბინის დაგირავება და თანხის მისთვის გადაცემა. 2003 წლის 18 აპრილს, ერთი მხრივ, თ. თ-ძის მეუღლის -ა. მ-შვილს, ხოლო, მეორე მხრივ -ი. შ-შვილს, ლ. წ-ურს, მ. მ-ანს, ე. ა-შვილს, ნ. ბ-ძესა და მ. მ-შვილს შორის გაფორმდა სა-ნოტარო აქტი -სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. ხელშეკრულების შედეგად ა. მ-შვილმა მიიღო თანხა 20 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც ორ თვეში უნდა დაებრუნებინა იპოთეკარებისათვის. ა. მ-შვილმა 18 ათასი აშშ დოლარი შეთანხმებისამებრ გადასცა ნ. მ-ძეს, რომელიც დაეუფლა თანხას მოტყუებით და არანაირი თანხა ა. მ-შვილის ოჯახისათვის არ დაუბრუნებია. თ. თ-ძემ ვალის დასაფარად კვლავ დააგირავა თავისი საცხოვრებელი ბინა. ნ. მ-ძის ქმედებით მას მიაღდა 38 ათასი აშშ დოლარის დიდი ოდენობით ზიანი.

ნ. მ-ძემ, მუშაობდა რა შპს „ალკო-ჯ-ის“ დირექტორის თანამდებობაზე, განიზრახა, დაუფლებოდა მოქალაქეთა თანხებს მოტყუებით, რისთვისაც გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოაქვეყნა განცხადება, თითქოსდა, ფირმაში სჭირდებოდა სხვადასხვა კვალიფიკაციის კადრი. განცხადებას გამოეხმაურნენ მოქალაქეები და დასაქმების მიზნით მიაკითხეს შპს „ალკო-ჯ-ის“ ოფისს თბილისში, ... ქ. #26-ში. კონკრეტულად, 2006 წლის 27 ოქტომბერს ოფისში მიაკითხეს მამა-შვილმა კ. და ო. კ-ევებმა. ო. კ-ევს „ალკო-ჯ-ში“ შესთავაზეს მუშის ვაკანსია, საგარანტიოდ მოითხოვეს 300 ლარი და განუმარტეს, რომ თანხა შევიდოდა ბანკში. იმ შემთხვევაში, თუ დაქირავებული გადაწყვეტდა სამსახურიდან წასვლას, თანხა დაუბრუნდებოდა განცხადების დაწერიდან ერთი თვის შემდეგ. ო. კ-ევმა იშოვა 300 ლარი და მამასთან ერთად მივიდა „ალკო-ჯ-ს“ ოფისში, სადაც შპს-ს თანამშრომელმა ლ. ვ-შვილმა გამოართვა აღნიშნული თანხა და კაბინეტში შეუტანა ნ. მ-ძეს, რომელიც დაეუფლა 300 ლარს და სანაცვლოდ, მეტი დამაჯერებლობისათვის, ლ. ვ-შვილს მისცა ბეჭდით დამოწმებული ხელშეკრულება ო. კ-ევისათვის გადასაცემად. ლ. ვ-შვილმა ეს ხელშეკრულება გადასცა ო. კ-ევს და დაჰპირდა, რომ სამი კვირის განმავლობაში დაუკავშირდებოდა. კ-ევები პერიოდულად უკავშირდებოდნენ შპს „ალკო-ჯ-ს“, თუმცა სხვადასხვა მიზეზით მათ ატყუებდნენ, რომ ო. კ-ევი უახლოეს მომავალში დაიწყებდა სამსახურს და თვითონ დაურეკავდნენ. იგი ამოდ ელოდა ფირმიდან დაკავშირებას. 2007 წლის იანვარში კ. და ო. კ-ევები მივიდნენ შპს „ალკო-ჯ-ის“ ოფისში, სადაც ლ. ვ-შვილმა უთხრა, რომ ფირმა გაკოტრდა და ლოდინი მოუწევდათ. ნ. მ-ძის ქმედებით ო. კ-ევს მიაღდა 300 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

ნ. მ-ძემ განიზრახა, მოტყუებით დაუფლებოდა ს\ს „გორკონის“ თანხებს, რისთვისაც 2006 წლის ნოემბერში შპს „ალკო-ჯ-შა“ და ს\ს „გორკონს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, „გორკონი“ ვალდებულიებას იღებდა, „ალკო-ჯ-ისათვის“ მიეწოდებინა თავისი გამოშვებული სხვადასხვა სახის წვენი, კომპოტი და კონსერვი კონსიგნაციით, ე.ი. თანხა უნდა გადახდილიყო პერიოდულად, გარკვეული დროის განმავლობაში, ხოლო, თავის მხრივ, შპს „ალკო-ჯ“ ვალდებული იყო, მაღაზიების ქსელში გაეყიდა აღნიშნული პროდუქცია და თანხა დაეფარა ეტაპობრივად. 2006 წლის 29 ნოემბრიდან 23 დეკემბრამდე შპს „ალკო-ჯ-ამ“ ს\ს „გორკონიდან“ წამოიღო 62 ათასი ლარის ღირებულების საქონელი, აქედან გადაიხადეს თანხის ნაწილი -დაახლოებით 7 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილ თანხას -54917 ლარის ოდენობით ნ. მ-ძე თაღლითურად დაეუფლა.

2006 წლის 9 ნოემბერს შპს „ალკო-ჯ-სა“ და გ. ს-ძეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც იგი დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის ფილიალის დირექტორად, რომლის საგარანტიო თანხად შეიტანა 8 ათასი ლარი. მას მისცეს შპს „ალკო-ჯ-ას“ სამცხე-ჯავახეთის ფილიალის ბეჭედი. თავის მხრივ, მან სამსახურში 2006 წლის 11 დეკემბერს მიიღო 9 კაცი, საგარანტიო თანხის სახით აიღო 16 ათასი ლარი, დირექტორ ნ. მ-ძეს ჩამოუტანა 8 ათასი ლარი, მეორე ნახევარს კი ჩამოუტანდა ფირმის ამუშავების შემდეგ. გ. ს-ძე მუშებს პირადად უხდიდა ხელფასს და როდესაც მიხვდა, რომ აღნიშნული ფირმა ფიქტიური იყო (ტყუილზე იყო აგებული) და არ იმუშავებდა, 2007 წლის 15 იანვარს დაწერა განცხადება, ნ. მ-ძეს მოსთხოვა საგარანტიო თანხები და მუშებზე გაცემული ხელფასები, თუმცა -უშედეგოდ. ნ. მ-ძის ქმედებით გ. ს-ძეს მიაღდა 24200 ლარის დიდი ოდენობით ზიანი.

ნ. მ-მემ 2006-2007 წლებში ანალოგიურად, თაღლითური გზით, ვითომდა სამსახურის დაწყების მიზნით, საგარანტიო თანხის სახით მოქალაქეებისაგან მიითვისა თანხები შემდეგ თანაფარდობით: თეიმურაზ გოგუაძისაგან -7207 ლარი, დ. ო-ძისაგან -1060 ლარი, რ. ა-შვილისაგან -500 ლარი, გ. ბ-შვილისაგან -1000 ლარი, გ. ს-ძისაგან -500 ლარი, კ. კ-შვილისაგან -500 ლარი, ს. კ-ძისაგან -1000 ლარი, ვ. გ-შვილისაგან -5000 ლარი, კ. გ-შვილისაგან -5000 ლარი, თ. ბ-ძისაგან -1500 ლარი, თ. ფ-შვილისაგან -1200 ლარი, თ. წ-ურისაგან -1000 ლარი, ს. ქ-ძისაგან -600 ლარი, მ. პ-შვილისაგან -300 ლარი, ლ. ს-ძისაგან -500 ლარი, მ. ჩ-შვილისაგან -1500 ლარი, ალ. ტ-შვილისაგან -1500 ლარი, მ. ჭ-ვასაგან -600 ლარი, ი. გ-ასაგან -5000 ლარი, ც. ი-ძისაგან -5000 ლარი, თ. კ-შვილისაგან -2500 ლარი, დ. ა-ძისაგან -2000 ლარი.

2007 წლის 22 აგვისტოს ნ. მ-მე თაღლითური გზით, ვითომდა შპს „ალკო-ჯ-ის“ დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით, საგარანტიო თანხის სახით დაეუფლა თ. ჭ-ელის კუთვნილ 5500 აშშ დოლარს, რითაც მას მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის 23 აგვისტოს ნ. მ-მე თაღლითური გზით, ვითომდა შპს „ალკო-ჯ-ში“ დასაქმების მიზნით, საგარანტიო თანხის სახით დაეუფლა თ. შ-შვილის კუთვნილ 1000 ლარს, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის 10-17 სექტემბერს ნ. მ-მე თაღლითურად, ვითომდა შპს-ში დასაქმების მიზნით, საგარანტიო თანხის სახით დაეუფლა თ. შ-შვილის კუთვნილ 1000 ლარს და დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის სექტემბერში ნ. მ-მე თაღლითურად, ვითომდა შპს „ალკო-ჯ-ში“ დასაქმების მიზნით, საგარანტიო თანხის სახით დაეუფლა ზ. ო-შვილის კუთვნილ 1500 ლარს, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის 31 იანვარს ნ. მ-მე თაღლითური გზით, ვითომდა შპს „ალკო-ჯ-ში“ დასაქმების მიზნით, საგარანტიო თანხის სახით დაეუფლა რ. ზ-ძის კუთვნილ 1500 ლარს, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის 4 თებერვალს ნ. მ-მე თაღლითურად, ვითომდა შპს „ალკო-ჯ-ში“ დასაქმების მიზნით, საგარანტიო თანხის სახით დაეუფლა ზ. ტ-ძის კუთვნილ 1500 ლარს, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის 4 თებერვალს ნ. მ-მე თაღლითური გზით, ვითომდა შპს „ალკო-ჯ-ში“ დასაქმების მიზნით, საგარანტიო თანხის სახით ხ. გ-ძისაგან დაეუფლა 1900 ლარს, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. მ-მეს დანაშაულთა ერთობლიობით, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით, საბოლოოდ განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 21500 ლარის ოდენობით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 თებერვლიდან. მასვე დაეკისრა თანხების გადახდა დაზარალებულების სასარგებლოდ: თ. თ-ძისათვის -32 000 აშშ დოლარის, გ. ს-ძისათვის -24200 ლარის, კ. გ-შვილისათვის -7524 ლარის, კ. კ-ვილისათვის -2300 ლარის, თ. ბ-ძისათვის -1590 ლარის, თ. ფ-იშვილისათვის -1200 ლარის, თ. წ-ური-სათვის -2600 ლარის, მ. ჩ-შვილისათვის -1100 ლარის, ა. ტ-შვილისათვის -1500 ლარის, ი. გ-იასათვის -500 ლარის, მ. კ-შვილისათვის -2300 ლარის, დ. ა-ძისათვის -1670 ლარის, ხ. გ-ძისათვის -1900 ლარის, თ. შ-შვილისათვის -2850 ლარის, ზ. ო-შვილისათვის -2500 ლარის, თ. ჭ-ელისათვის -5500 აშშ დოლარისა და 7500 ლარის, მ. გ-ძისათვის -3000 ლარის, გ. ბ-შვილისათვის -1400 ლარის, ზ. ტ-ძისათვის -1500 ლარის, რ. ზ-ძისათვის -1500 ლარის, ხოლო ს\ს „გორკონის“ სასარგებლოდ -54917 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ა. ჭ-შვილმა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და ნ. მ-ძის გამართლება.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს აპელანტმა ალტერნატიული მოთხოვნის სახით ითხოვა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ნ. მ-მეს დამნაშავედ ცნობდა, მისი ქმედებები ჩათვლილიყო განგრძობად დანაშაულად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი ნ. მ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული ნ. მ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, მუშაობდა პატიოსნად, ქვეყნის საკეთილდღეოდ და შეიძლება, ჰქონდეს მხოლოდ სამოქალაქო დავა, რის გამოც ითხოვს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან ნ. მ-ძის ქმედება არასწორადაა დაკვალიფიცირებული; სააპელაციო პალატის არც ერთი დასკვნა არ გამოდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობიდან; სასამართლომ გამოიყენა დაუშვებელი მტკიცებულებები. პალატა უსაფუძვლოდ და დაუდასტურებლად მიიჩნევს ნ. მ-ძის



პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ალკო-ჯ-ის“ მხრიდან მოქალაქეთა წინასაგარანტიო თანხების დაუბრუნებლობის მიზეზი იყო შპს-ს გაკოტრება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვია თავად კომპანიის თანამშრომლების მიერ არაჯეროვნად შესრულებულმა სამსახურებრივმა მოვალეობამ და შპს-ს ქონების თვითნებურად დატაცებამ. საქმის განხილვისას ნ. მ-მემ აჩვენა, რომ სავაჭრო ქსელში გატანილი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხები თანამშრომლებს კომპანიაში სრულად არ შეუტანიათ. ეს საკითხი არც გამოძიებას და არც სასამართლოებს არ შეუსწავლიათ. თანამშრომლებმა, რომლებმაც კუთვნილი ხელფასები ვერ მიიღეს, შპს-ს კუთვნილი ქონება მიიტაცეს. აღნიშნული დასტურდება მოწმეებისა და თავად დაზარალებულების ჩვენებებით. ნ. მ-მეს შპს-ს წესდებით უფლება არ ჰქონდა, კომპანიის კუთვნილი ქონება თანამშრომლებისათვის გადაეცა. ამდენად, მოსამართლეთა მითითება იმაზე, რომ თანამშრომლებს ნ. მ-მის რეზოლუციით კანონიერად გაჰქონდათ საზოგადოების კუთვნილი ქონება, დიდი უკანონობაა. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარე ასკვნის, რომ კომპანიის თანამშრომლებმა უკანონოდ დაიტაცეს შპს „ალკო-ჯ-ის“ კუთვნილი ქონება, რაც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს;

კასატორის აზრით, მცდარია სასამართლოს დასკვნა, რომ თითქოს „ალკო-ჯ-ის“ გაკოტრება ხელოვნურად იყო გამოწვეული, რათა ნ. მ-მეს ვალაუფალობის მოტივით არ გაეცა ხელფასები და არ დაებრუნებინა საგარანტიო თანხები, ვინაიდან კომპანია გაკოტრებულად ცნობილი არ არის; სასამართლოებმა არაფერი იციან საზოგადოების ბიზნეს-გეგმის შესახებ, მიუხედავად ამისა, არაკვალიფიციურად აფასებენ მეწარმე-სუბიექტის საქმიანობას; საქმეში არ არსებობს შპს-ს საფინანსო, საბუღალტრო და ა.შ. საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, ასეთ პირობებში კი არათუ მოსამართლეებს, არამედ -ბიზნესმენებსაც გაუჭირდებათ საზოგადოების საქმიანობის შეფასება; უყურადღებოდ დარჩა ნ. მ-მის ჩვენების არსებითი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ პროდუქციის რეალიზაციით ამოღებული თანხების ჯამი გადააჭარბებს ხელფასების დავალიანებისა და წინასაგარანტიო თანხების ჯამს. ეს ფაქტი არავის გადაუმოწმებია.

მსჯავრდებულის ჩვენებით, კომპანიის რეალიზაციის სამსახურის უფროსი იყო კ. გ-შვილი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კომპანიის კუთვნილი 200000 ლარის ქონება, აქედან 100000 ლარის პროდუქცია დისტრიბუტორების მეშვეობით მას გატანილი ჰქონდა სავაჭრო ქსელში, ხოლო დარჩენილი 100000 ლარის პროდუქცია კი კომერციულ დარგში დირექტორის მოადგილე ი. გ-იამ გაიტანა სამცხე-ჯავახეთში. არც აღნიშნული გარემოება გამოურკვევიათ გამოძიებასა და სასამართლოს; უსაფუძვლოა სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. მ-მემ არ გაითვალისწინა კ. გ-შვილის კვალიფიციური კონსულტაცია, რადგან საქმის მასალებიდან არ ჩანს, როგორ, რის საფუძველზე დაადგინა სასამართლომ კ. გ-შვილის კვალიფიციურობა და პროფესიონალიზმი;

კასატორის მოსაზრებით, თანამშრომელს რატომ უნდა მოხსენებოდა, სად ინახებოდა ფული. დადგენილია წესები, რომლებიც აწესრიგებენ თანხების შენახვას. ასევე მცდარია ის აზრი, რომ კომპანიაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობასთან დაკავშირებით არ უცნობებიათ ახალი კადრებისათვის. ასეთ რამეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და სასამართლოს უფლება არა აქვს, სავალდებულოდ შესასრულებლად მიიჩნიოს ის, რაც სავალდებულოდ შესასრულებელი არ არის; საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ შპს „ალკო-ჯ“ თავდაპირველად ნორმალურად და გამართულად მუშაობდა, იყო საკმაოდ მობილური ორგანიზაცია და საჭიროებდა კიდევ მეტად გაძლიერებას კადრების მოზიდვის კუთხით. კომპანია კანონმდებლობის სრული დაცვით ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას. არც ერთი ეს გარემოება სასამართლოებს არ შეუსწავლიათ;

ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნავს, რომ ალტერნატიული მოთხოვნის სახით სააპელაციო სასამართლოში მათ დააყენეს წინადადება, ემსჯელათ, ხომ არ იყო ნ. მ-მის ქმედებებში განგრძობადი დანაშაულის ნიშნები. პალატის აზრით, მსჯავრდებულს თითოეული დაზარალებულის მიმართ მოტყუების ინდივიდუალური განზრახვა ამომრავებდა. აღნიშნულის საპირისპიროზე მიუთითებს საბრალდებო დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ ნ. მ-მე მოქმედებდა ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, ჩაედინა ორი ან მეტი დანაშაულებრივი ქმედება. მან წინასწარ არ იცოდა და დარწმუნებული ვერ იქნებოდა, მის განცხადებას გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ ერთი მოქალაქე გამოეხმაურებოდა თუ ორმოცდაათი; საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ ნ. მ-მეს თითოეული მოქალაქის მოტყუების ინდივიდუალური განზრახვა კი არ ამომრავებდა, როგორც ამას სააპელაციო პალატა მიიჩნევს, არამედ -განურჩევლად ყველა მოქალაქის მოტყუების. ამ დროს რაოდენობას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ -ერთიან მიზანსა და საერთო განზრახვას, რაც მოცემულ შემთხვევაში ნ. მ-მეს სასამართლოებმა უკანონოდ დაუნაწევრეს. საჭირო იყო ბრალის სხვა ფორმით ჩამოყალიბება. განგრძობადი დანაშაულის ობიექტური მხარის არსებითი განმასხვავებელი ნიშნებია: ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების წყვეტილობა, რაც გამოიხატება ერთი და იმავე დანაშაულის ობიექტური მხარის მრავალგზის განხორციელებაში და ამ ქმედებებს შორის მჭიდრო კავშირით დროში. განგრძობადი დანაშა-

ულის შემადგენელი ყოველი ქმედება არის წინა ქმედების გაგრძელება, ე.ი. წარმოადგენს ერთიანი მთელის მხოლოდ ერთ-ერთ ეპიზოდს, ეტაპს. სუბიექტური მხრივ, განზრახვა ერთი მოტივით არის განპირობებული და ერთი მიზნის მიღწევას ემსახურება. ამ დროს განზრახვას უწყვეტი ხასიათი აქვს, მისი შემადგენელი თითოეული ქმედება ამ ერთიანი, განუწყვეტელი განზრახვით არის მოცული და ერთხელ წარმოშობილი განზრახვის (ანუ განცხადების გაზეთში გამოქვეყნების სურვილი) რეალიზაციისაკენ არის მიმართული. ნ. მ-ძის დანაშაულის სუბიექტური მხარე უწყვეტია, ვინაიდან მას განცხადების გაზეთში გამოქვეყნებით სურდა არაერთი მოქალაქის მოტყუება თავიდანვე და არა -შემდეგ, ცალ-ცალკე. ობიექტური მხრივ წყვეტილია, რადგან ქმედებები მცირე დროის ინტერვალში განხორციელდა და არა -ერთად;

კასატორის განმარტებით, განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან. თუ შეიცვალა კანონი, მაშინ უნდა გამოიყენონ ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მისი შემადგენელი უკანასკნელი აქტის ჩადენისას. აღნიშნული შეეხება ერთიანი დანაშაულის სახეებს -დენად და განგრძობად დანაშაულებს და არა -დანაშაულის სიმრავლეს, რომელიც არაერთგზის დანაშაულს მოიცავს. განაჩენის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 2 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების შემდგომ განგრძობადი დანაშაული აღარ იარსებებს, გვექნება მხოლოდ ქმედების არაერთგზისობა, რაც აბსოლუტურად მცდარი მოსაზრებაა. ამიტომ 2007 წლის 2 აგვისტოს ცვლილებები არაერთგზისობასთან დაკავშირებით ნ. მ-ძის მიმართ არ უნდა იყოს გამოყენებული. იმ შემთხვევაში, თუ ნ. მ-ძის ქმედებები განგრძობად დანაშაულად იქნება მიჩნეული, მას სასჯელი უნდა განესაზღვროს მხოლოდ ერთი მუხლით -სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ანუ 5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. საკასაციო პალატამ ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს დაუშვებელ მტკიცებულებებს, რომელთა შესახებ დაწვრილებითაა მითითებული დაცვით სიტყვებსა და სააპელაციო საჩივარში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და ნ. მ-ძის გამართლებას.

დაზარალებული თ. ჭ-ელი შესაგებელში მიუთითებს, რომ ნ. მ-ძის მიერ თაღლითობის ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული საქმის მასალებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას, კერძოდ:

კასატორები მიუთითებენ, რომ სავაჭრო ქსელში გატანილი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხები თანამშრომლებს კომპანიაში სრულად არ შეუტანიათ. ამასთან, რეალიზაციის სამსახურის უფროს კ. გ-შვილს მინდობილი ჰქონდა კომპანიის კუთვნილი 200000 ლარის ქონება, აქედან 100000 ლარის პროდუქცია დისტრიბუტორების მეშვეობით მას გატანილი ჰქონდა სავაჭრო ქსელში, ხოლო დარჩენილი 100000 ლარის პროდუქცია კი კომერციულ დარგში ღირებულების მოადგილე ი. გ-იამ გაიტანა სამცხე-ჯავახეთში.

საჩივრების აღნიშნული მოტივები არ გამომდინარეობს თავად ნ. მ-ძის სასამართლოში მიცემული განმარტებებიდან, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოში ნ. მ-ძემ მიუთითა, რომ 2006 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე მოქალაქეებისაგან საგარანტიო თანხის სახით მიიღო 300 000 ლარი, საიდანაც დაახლოებით 100 000 ლარი გაიცა ხელფასებსა და საწვავზე. პირველი თვის ხელფასი არ გაიცა, რადგან მომდევნო თვეში დაიწყეს შპს-ს თანამშრომლებმა მუშაობა, რომლებმაც შემდეგ მითვისეს პროდუქცია და თანხები. დისტრიბუტორებს საქონლის რეალიზაციით მიღებული თანხა შეჰქონდათ ბანკში, შპს-ს ანგარიშზე და ამ თანხის განკარგვის შესაძლებლობა ჰქონდა მხოლოდ ნ. მ-ძეს. ამავე ჩვენებით, სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ გატანილი იყო 62 000 ლარის ღირებულების საქონელი, რომლის მხოლოდ 5-10% დაუბრუნდა შპს-ს.

დადგენილია, რომ 2006 წლის 29 ნოემბრიდან 23 დეკემბრამდე შპს „ალკო-ჯ-ამ“ ს/ს „გორკონიდან“ წამოიღო 62 ათასი ლარის ღირებულების საქონელი თანხის ეტაპობრივად გადახდის პირობით, საიდანაც მომწოდებელს გადაუხადეს მხოლოდ 7 ათასი ლარი.

სააპელაციო სასამართლოში ნ. მ-ძემ ვერ უპასუხა, რამ განპირობა ს/ს „გორკონიდან“ 62 000 ლარის ღირებულების პროდუქციის თანხის შემდგომ, ეტაპობრივად გადახდის პირობით წამოღება, როდესაც, მისივე ჩვენებით, ამ დროისათვის შპს-ს საგარანტიო თანხის სახით მიღებული ჰქონდა დაახლოებით 300 000 ლარი, რომელიც სწორედ პროდუქციის შესაძენად იყო გამიზნული.

განსასჯელის ჩვენებით, საწყობში ინახებოდა 200 000 ლარის ღირებულების პროდუქცია, თუმცა ნ. მ-მ არ ასახელებს ამ ოდენობით საქონლის მომწოდებელს, მას არც მოუთხოვია ამ საკითხის გარკვევა, არ წარმოუდგენია შესაბამისი დოკუმენტაცია და არც ამ დოკუმენტაციის არ არსებობასთან დაკავშირებით განუმარტავს რაიმე. მხედველობაშია მისაღები, რომ შპს-ს საქონელი მიეწოდებოდა თანხის შემდგომ გადახდის პირობით და დაცვის მხარე არც მომწოდებელთან ანგარიშსწორების რაიმე დოკუმენტაციის არსებობაზე მიანიშნებს. შესაბამისად, უსაფუძვლოა კასატორთა მითითება, თითქოს ეს საკითხი საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას არ იქნა შესწავლილი.

დაცვის მხარე ასკვნის, რომ კომპანიის თანამშრომლებმა უკანონოდ დაიტაცეს შპს „ალკო-ჯ-ას“ კუთვნილი ქონება, მაგრამ ამის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლოში ნ. მ-მ სცნობს სამოქალაქო სარჩელებს, რადგან „ამ ხალხს ეკუთვნის ფული და უნდა დაუბრუნო“.

დაზარალებულ კ. გ-შვილის ჩვენებით, შპს დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში ფუნქციონირებდა. იგი დააეჭვა კადრების დიდმა შემოდინებამ (ერთ სამუშაო ადგილზე 5-6 პირს იღებდნენ), მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, რომ წარმატებით ამუშავდა დისტრიბუცია. შემდეგ გაირკვა, რომ პროდუქციის შემოტანაც თანხის შემდგომ გადახდის პირობით ხდებოდა. დაზარალებულმა ასევე მიუთითა, რომ შპს-ში შესული თანხები მალევე გაედინებოდა და ამ პროცესს ნ. მ-მ ერთპიროვნულად განაგებდა. კ. გ-შვილმა და სხვა პირებმა მოითხოვეს თავიანთი თანხების დაბრუნება, რაც მხოლოდ ერთ თანამშრომელს დაუბრუნდა, შემდეგ ნ. მ-მ მიიმალა.

შპს-ს ბუღალტერი ც. ი-მ ადასტურებს, რომ საბანკო ანგარიშზე და სალაროში არსებულ თანხებს მხოლოდ ნ. მ-მ განკარგავდა. მსჯავრდებულის ჩვენებით, დაახლოებით 100 000 ლარი გაიცა ხელფასებსა და საწვავზე, მაგრამ ც. ი-მის განმარტებით, ხელფასი გაიცა მხოლოდ ერთხელ და დარიგდა 20 000 ლარამდე.

დაზარალებულ ა. ზ-უას ჩვენებით, შპს-ს თანამშრომელთა რაოდენობა იყო ძალიან დიდი, საჭირო იყო ხელფასების გაცემა, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც არ წყდებოდა ახალი თანამშრომლების მიღება. ამავე ჩვენებით, შპს მხოლოდ საგარანტიო თანხებით ფუნქციონირებდა, ამ თანხებით ხდებოდა ხელფასის დარიგებაც.

საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის -არაერთი დაზარალებულის ჩვენებებით იკვეთება, რომ შპს-ში შექმნილი უმძიმესი ვითარების მიუხედავად ნ. მ-მ არ წყვეტდა ახალი თანამშრომლების მიღებას საგარანტიო თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით. მაგ. დაზარალებული ზ. ტ-მ განმარტავს, რომ შპს-ში შეიტანა 1 500 ლარი და იმ დღესვე ნ. მ-მ უთხრა: „საქმე ასაწყობია და 3-4 დღე არ მჭირდება“. 4 დღეში ნ. მ-მ დააკავს.

კასატორები მიუთითებენ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 2007 წლის 2 აგვისტოს ცვლილებები არაერთგზისობასთან დაკავშირებით ნ. მ-მის მიმართ არ უნდა იყოს გამოყენებული.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, არაერთგზის ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით ახალი კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირმა ბოლო ქმედება ჩაიდინა კანონის მოქმედების შემდგომ.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მითითებას ნ. მ-მის მიერ ერთიანი -განგრძობადი დანაშაულის ჩადენის შესახებ. საკასაციო საჩივარშიც აღნიშნულია, რომ ნ. მ-მ წინასწარ არ იცოდა, მის განცხადებას რამდენი პირი გამოეხმაურებოდა. ასეთ პირობებში საუბარი ერთიან მიზანსა და საერთო განზრახვაზე უსაფუძვლოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

ამასთან, დაზარალებულმა -მ. ჩ-შვილმა, ს. ქ-მემ, გ. ს-მემ და ო. კ-ევმა უარი განაცხადეს სამოქალაქო სარჩელზე, რასაც სათანადო ყურადღება არ მიექცა.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-7 და მე-40 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების შესაბამისად, სარჩელზე უარს მოსდევს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსარჩელეს უფლება ერთმევა, განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძვლით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ამასთან, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ნ. მ-მის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნიეს მატერიალური ზარალის აუნაზღაურებლობა, რაც არასწორია.

პალატა განმარტავს, რომ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა, სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე და ამ წამახალისებელი ნორმის შეუსაბამო ქმედება პასუხისმგებლობის დამამძიმებლად ვერ მიიჩნევა.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ ნ. მ-მეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, მას აქვს ფსიქიკური ნაკლი - დაუდგინდა შეზღუდული შერაცხადობა. აღნიშნულისა და ნ. მ-მის მიერ ჩადენილი ქმედებების სიმძიმიდან გამომდინარე, დანიშნული სასჯელი - 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მეტისმეტად მკაცრია და უნდა შემსუბუქდეს სსკ-ის 59-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ნ. მ-მისა და მისი დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: ნ. მ-მისათვის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნულ ძირითად სასჯელს - 7 წლით თავისუფლების აღკვეთას დაემატოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბრალდების სამი - 2007 წლის სექტემბრის, 2008 წლის 31 იანვრის და 4 თებერვლის ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების - 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი - 3-3 წელი და 8-8 თვე, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2007 წლის 10 სექტემბრის ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელის - 5 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი - 3 წელი, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 4 თებერვლის ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელის - 5 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი - 4 წელი და საბოლოოდ ნ. მ-მეს მიესაჯოს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა - 21 500 ლარი;

განაჩენიდან ამოირიცხოს მითითებები დაზარალებულ მ. ჩ-შვილის სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებისა და პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ზიანის აუნაზღაურებლობის შესახებ;

დაზარალებულების - მ. ჩ-შვილის, ს. ქ-მის, გ. ს-მის და ო. კ-ევის სამოქალაქო სარჩელების გამო შეწყდეს წარმოება სარჩელებზე უარის გამო.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველები**

**განჩინება**

#669-აპ-09

25 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-იას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ბ-ია, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და გ. ბ-იას საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 19

წლის ვადით. მასვე იმავე განაჩენით ჩამოერთვა "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული უფლებები.

განაჩენით გ. ბ-იას მსჯავრი დაედო ყაჩაღობაში, ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, აგრეთვე -ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნასა და შენახვაში, ჩადენილი იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი ჰქონდა სხვა ნარკოტიკული დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ბ-ია 2008 წლის 4 სექტემბერს დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირს და მათ განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ქ. ზუგდიდში, მცხოვრებ კ. მ-იას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი იმავე დღეს, დაახლოებით 23:30 საათზე, სახეზე ნიღაბფარებულები, მივიდნენ კ. მ-იას საცხოვრებელ სახლთან. მათ უკანა საძინებელი ოთახიდან უკანონოდ შეაღწიეს ბინაში, კ. მ-იას ძალადობითა და ძალადობის მუქარით მოსთხოვეს ფული და ოქროს ნივთები. თავდამსხმელებმა ე.წ. "სკოჩით" მას შეუკრეს ხელ-ფეხი და ცხელი უთოთი მიაყენეს ჯანმრთელობის დაზიანება. ამის შემდეგ გ. ბ-იამ და მისმა თანამზრახველმა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ყაჩაღურად გაიტაცეს კ. მ-იას კუთვნილი ოქროს საყურე, ღირებული 300 ლარად; სამი ოქროს ჯვარი, თითო -ღირებული 50 ლარად; ოქროს ყელსაბამი, ღირებული 200 ლარად; ოქროს საყურე, ღირებული 250 ლარად; ორი ვერცხლის ბეჭედი, ღირებული 100 ლარად; ვერცხლის ყელსაბამი, ღირებული 50 ლარად; მამაკაცის ფეხსაცმელი, ღირებული 100 ლარად; ლითონის მომწვანო ფერის ორი საყვავილე ვაზა, თითო -ღირებული 10 ლარად; ორი მოყვითალო ფერის სასანთლე, თითო -ღირებული 10 ლარად; პატარა ზომის გოგონას ქანდაკება, ღირებული 10 ლარად; პატარა ზომის რკინის ვერცხლისფერი სვეტი, ღირებული 50 ლარად; ფულადი თანხა -150 ლარი; პისტოლეტი -ტირი "იჟ-53მ", ღირებული 200 ლარად; არაყი წარწერით "PLAთINIUM", ღირებული 50 ლარად; "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონის აპარატი, ღირებული 100 ლარად.

2007 წლის 3 იანვრის განაჩენით გ. ბ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, მაგრამ იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ნარკოტიკული დანაშაული. მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 6,75 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მარიხუანა", რომელიც ასევე უკანონოდ შეინახა თავისი დროებითი საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში. აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება 2008 წლის 12 სექტემბერს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა ამოიღეს ხსენებული საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ბ-იას დამცველმა, ადვოკატმა ნ. კ-მემ. აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ გ. ბ-იას ყაჩაღობა არ ჩაუდენია და საქმეში არ მოიპოვება რაიმე პირდაპირი მტკიცებულება ამ ნაწილში ბრალდების დასადასტურებლად. განაჩენს საფუძვლად დაედო დაზარალებულის არასწორი ჩვენებები, რის გამოც განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და იგი უნდა გაუქმდეს.

სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 3 ივნისის განაჩენით აპელანტის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ხოლო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ გ. ბ-იას მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ბ-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენს თავისი ბრალეულობის თაობაზე, ხოლო სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რის გამოც იგი ითხოვს საკასაციო საჩივრის განხილვასა და მის მიმართ კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ბ-იას მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ბ-იას მიერ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი პოზიცია თავისი უდანაშაულობის თაობაზე, რომელსაც იგი ავითარებდა ასევე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ვერ იქნება მიჩნეული საფუძვლიანად, რადგან მისი ბრალეულობა ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობის ჩადენაში დადასტურებულია საქმეში არსებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებებით. დაზარალებულმა როგორც საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ასევე საქმის სასამართლოში განხილვისას თავის ჩვენებებში მკაფიოდ მიუ-

თითა თავდამსხმელის განსაკუთრებულ ნიშნებზე, რომლებიც თითქმის იდენტურად ემთხვევა მსჯავრდებულ გ. ბ-ის ზედა კიდურების დათვალიერებით აღმოჩენილ განსაკუთრებულ ნიშნებს. გარდა ამისა, დაზარალებულმა მისი იდენტიფიცირება მოახდინა აღნაგობითა და ხმით, ხოლო მსჯავრდებულის დროებითი საცხოვრებელი ოთახის ჩხრეკისას აღმოჩნდა ყაჩაღობის დროს დაზარალებულის ბინიდან გატაცებული ნივთების ერთი ნაწილი. ასეთ პირობებში სავსებით დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ არსებობს კანონიერი საფუძველი გ. ბ-ის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით მსჯავრდებისათვის.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გ. ბ-ის ბრალეულობის თაობაზე, რადგან საამისოდ საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები. მართალია, საქმეში არსებობს გ. ბ-ის დროებით საცხოვრებელ ოთახში ჩატარებული ჩხრეკის ოქმი, რომლის მიხედვით, აღნიშნულ ოთახში 6,75 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მარიხუანა" იქნა აღმოჩენილი, მაგრამ ეს ფაქტი ვერ ჩაითვლება საკმარის საფუძველად გ. ბ-ის ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებისათვის, რადგან საქმეში არსებობს სხვა მტკიცებულებებიც, რომლებიც საფუძველიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ხსენებული ნარკოტიკული საშუალების კუთვნილებას. მოწმე ი. ო-ის ჩვენებების მიხედვით, რომელსაც ეკუთვნის ბინა, სადაც ჩხრეკა ჩატარდა, აღნიშნულ ბინაში სხვადასხვა დროს, ასევე დროებით, სწორედ იმ ოთახში, სადაც გ. ბ-ია რჩებოდა ხოლმე, ღამეს ათევდნენ გალის რაიონიდან იძულებით გადაადგილებული სხვა პირებიც, ხოლო ბინის კარი გარედან არასდროს იკეტებოდა რაიმე საკეტით, რაც გარეშე პირებს გაუძნელებდა ბინაში შესვლას. იმავე საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა მ. ხ-იამ თავის ჩვენებებში ასევე დაადასტურა, რომ არაერთხელ უნახავს ხსენებული ბინიდან გამოსული სხვა პირებიც იმ დროს, როდესაც ი. ო-ია და გ. ბ-ია იქ არ იმყოფებოდნენ. ამასთან, საქმეზე მოწმედ დაკითხული პოლიციის თანამშრომლებიც ადასტურებენ, რომ ი. ო-ის ბინა, როდესაც იქ დამსწრე პირებთან ერთად ჩხრეკის ჩასატარებლად მივიდნენ, დაკეტილი არ იყო, თვითონ ბინის პატრონი კი შინ არ იმყოფებოდა.

უდავოა, რომ ასეთ ვითარებაში კანონზომიერად ჩნდება საფუძველიანი ეჭვი: ჩხრეკისას ზემოაღნიშნული ბინის საძინებელ ოთახში აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება გ. ბ-ის მიერ იყო მიტანილი და შენახული თუ სხვა პირის მიერ, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული პრინციპის მიხედვით, ყოველი ასეთი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება უტყუარი მტკიცებულებებით, უნდა გადაწყდეს იმ პირის სასარგებლოდ, ვისაც ბრალი ედება მოცემული დანაშაულის ჩადენაში.

ამრიგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ გ. ბ-ის მსჯავრდებისას სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილითა და მე-18 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, ამასთან, დაუშვა იმავე კოდექსის 538-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული დარღვევა, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ არსებით დარღვევას, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის შეცვლის საფუძველია.

მითითებული გარემოებების გარდა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმაზეც, რომ ყაჩაღობის ნაწილში მსჯავრდებულ გ. ბ-ის დანიშნული აქვს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ვადა -12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც წარმოადგენს ზედმეტად მკაცრ სასჯელს და არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, რის გამოც მითითებული სასჯელი გ. ბ-ის მიმართ გარკვეული ზომით უნდა შემცირდეს.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ბ-ის სასიკეთოდ, კერძოდ, მას უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ საფუძველით, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. იმავდროულად, ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ხასიათისა და შედეგების, აგრეთვე -თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ გ. ბ-ის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 11 წლისა და 8 თვის ვადით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. ბ-ის მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, ხოლო განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება აღნიშნული მუხლის საფუძველზე გ. ბ-ის მიმართ სასჯელის ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის თაობაზე.

მსჯავრდებულ გ. ბ-ის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 11 წლისა და 8 თვის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველები  
განჩინება**

#213-აპ-10

15 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ლ-ასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ხ-ას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

სენაკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის განაჩენით ს. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 25 ივნისს სენაკში, სანატორიუმ „...-ში“ მცხოვრებმა ს. ლ-ამ და მისმა მეზობელმა მ. ხ-ემ იკამათეს, რა დროსაც ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. რამდენიმე წუთში ს. ლ-ა დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე -სანატორიუმის შენობის მე-5 სართულის ფოიეში, სადაც სხვა მცხოვრებლებთან ერთად იმყოფებოდა მ. ხ-ეც. მათ კვლავ გააგრძელეს დავა, რაც ფიზიკური შეურაცხყოფაში გადაიზარდა. სურდა რა სამაგიეროს გადახდა, ს. ლ-ამ განიზრახა მ. ხ-ისათვის მძიმე დაზიანების მიყენება. მან მოიმარჯვა თანნაქონი დანა და მ. ხ-ეს მიაყენა დაზიანება გულმკერდისა და მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობის სახით.

აღნიშნული ქმედებისათვის ს. ლ-ას მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩათვალა პირობით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების დღიდან და მის ვადაში მოხდილად ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -2009 წლის 25 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით. გაუქმდა ს. ლ-ას მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება -გირაო და გირაოს უზრუნველსაყოფად შეტანილი თანხა დაუბრუნდა მის შემტანს. გირაოს დარჩენილი ნაწილის უზრუნველსაყოფად ყადაღად დებულ უძრავ ქონებას, მდებარეს სენაკის რაიონის სოფელ ...-ში, მოეხსნა ყადაღა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ლ. ხ-ამ. მათ ითხოვეს მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შეცვლა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად 3 წლის დადგენა.

განაჩენი ასევე გაასაჩივრა პროკურორმა ნ. ს-ემ, რომელმაც იშუამდგომლა ს. ლ-ასათვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრის თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 იანვრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი, ხოლო პროკურორის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -განაჩენიდან ამოირიცხა მითითება სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილზე და ს. ლ-ას მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 10 ნოემბრიდან.

კასატორები -მსჯავრდებული ს. ლ-ა და მისი ადვოკატი ლ. ხ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მისი ქმედების ხასიათსა და პიროვნებას; ს. ლ-ას ქმედებას არ გამოუწვევია დაზარალებულის შრომისუნარიანობის დაკარგვა; მასთან ამჟამად შერიგებულია; მსჯავრდებული 70 წელსაა მიღწეული; იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სახანძრო-სამაშველო სამსახურში, ხასიათდება დადებითად, ჰყავს ავადმყოფი მეუღლე, ორი შრომისუუნარო შვილი და ორი შვილიშვილი, თვითონაც დაავადებულია პროსტატიტით; მისი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში; არის აფხაზეთიდან გადაადგილებული პირი; არ დაემალა და ითანამშრომლა გამოძიებასთან; ინანიებს ჩადენილ ქმედებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ განაჩენის შეცვლას სასჯელის ნაწილში და ს. ლ-ასათვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას, პირობით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ ს. ლ-ას მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 3 აპრილის # განკარგულების შესაბამისად, ს. ლ-ა გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ს. ლ-ას მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

გარდა ამისა, დაზარალებულმა მ. ხ-ემ სასამართლოში უარი განაცხადა სამოქალაქო სარჩელზე, რასაც სათანადო ყურადღება არ მიექცა.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-7 ნაწილისა და მე-40 მუხლის შესაბამისად, სარჩელზე უარს მოსდევს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსარჩელეს უფლება ერთმევა, განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძველით, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 3 აპრილის # განკარგულების საფუძველზე ს. ლ-ას მიმართ, მისი შეწყალების გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის;

ს. ლ-ას მიმართ დაზარალებულ მ. ხ-ის სამოქალაქო სარჩელის გამო წარმოება შეწყდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 იანვრის განაჩენი ს. ლ-ას მიმართ სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



### 3. განაჩენის გაუქმება კანონის არსებითი დარღვევის გამო

#### განჩინება

#726-აპ-09

13 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით მ. ხ-შვილს, -ბრალი ედებოდა იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ანუ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და იმავე მუხლის მესამე ნაწილის "დ" ქვეპუნქტებით.

მ. ხ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 26 იანვარს მ. ხ-შვილმა განიზრახა ვინმესთვის ძალის გამოყენებით გაეტაცა მოძრავი ნივთი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს, დაახლოებით 20:00 საათზე, იგი იმყოფებოდა ქუჩაზე, სადაც შეამჩნია მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან ქვეითად მომავალი, მისთვის უცნობი ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც მან ძალადობის გამოყენებით შეათრია გზის განაპირა არსებულ, ხის ღობით შემოფარგლულ მშენებლობის ეზოში, სადაც ასევე ძალადობის გამოყენებით გასტაცა თანხა -1,5 ლარის ოდენობით და "ნოკია #73" ფირმის მობილური ტელეფონი, რომელშიც მოთავსებული იყო სიმ ბარათი, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მ. ხ-შვილმა დაზარალებულ ლ. რ-შვილს მიაყენა 501 ლარისა და 50 თეთრის მნიშვნელოვანი ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის განაჩენით მ. ხ-შვილის ბრალდებიდან ამოირიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე, როგორც ზედმეტად წარდგენილზე. იმავე განაჩენით მ. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -6 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან -2009 წლის 28 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მსჯავრდებულმა მ. ხ-შვილმა, ასევე სახელმწიფო ბრალმდებელმა ლ. ბ-შვილმა. აპელანტი მ. ხ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ხოლო სახელმწიფო ბრალმდებელმა ლ. ბ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულ მ. ხ-შვილის საუარესოდ, კერძოდ, პროკურორი ითხოვდა, რომ მსჯავრდებულს ძირითადი სასჯელის სახით შეფარდებოდა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე, მ. ხ-შვილს დანიშნოდა ჯარიმა -6 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის განაჩენი მსჯავრდებულ მ. ხ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული მ. ხ-შვილი საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ დაზარალებულის ბუნდოვან და არადადამაჯერებელ ჩვენებას, რომლითაც რეალურად ვერ დასტურდება, რომ სწორედ იგი არის ის პირი, რომელმაც ჩაიდინა ძარცვა. მისივე განმარტებით, დაზარალებული არადადამაჯერებლად აღწერს მისი, როგორც თავდამსხმელის, გარეგნობას და უთითებს, რომ მან იგი ამოიცნო თვალების ფერითა და ხმის ტემპრით, როცა მას სახეზე

აღნიშნება მკვეთრი იარა, აქვს დეფორმირებული ცხვირი გამოკვეთილი ნაიარევით და მისთვის დამახასიათებელია თეთრი შეფერილობის წვერი, რომლის არშემჩნევაც შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი მართლაც ჩაიდენდა დაზარალებულ ლ. რ-შვილის მარცვას იმ პირობებში, რაც აღწერილია უშუალოდ დაზარალებულის ჩვენებაში და რომელსაც ეყრდნობა როგორც საბრალ-დებო დასკვნა, ასევე -ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები. მსჯავრდებული ასევე უთითებს, რომ მის მიმართ ეთნიკური ნიშნით ხორციელდებოდა აშკარა ზეწოლა და იკვეთებოდა ტენდენციურობა როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე -საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე. მ. ხ-შვილის განცხადებით, წინასწარი გამოძიების ეტაპზე, დაირ-ღვა რა მისი უფლება, არ მისცეს საშუალება, ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით. ამასთან, მისი კანონიერი მოთხოვნის პასუხად პოლიციის თანამშრომლებმა მას მიაყენეს არამართო სიტყვიერი, არამედ ფიზიკური შეურაცხყოფაც, რაც დასტურდება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით. მ. ხ-შვილი საკასაციო საჩივარში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან იკვეთებოდა რა აშკარა ტენდენციურობა, დაზარა-ლებულის ჩვენება არის შეცვლილი და იმ სახით ჩამოყალიბებული, რომელიც გამოძიების ორგანოს საშუალებას აძლევდა ხელოვნურად გაემყარებინა მის მიმართ წარდგენილი ბრალდება. ამასთან, მსჯავრდებული მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებები, რომ-ლებიც დაიკითხნენ როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, არის ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი, რის გამოც აღნიშნული ჩვენებები არ შეიძლება, საფუძვლად დასდებოდა მის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს. მ. ხ-შვილის განცხადებით, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მობილური ტელეფონი, რომლის და-უფლებასაც მას ედავებიან, ვერ იქნა მოპოვებული, ხოლო მის დაკავებას საფუძვლად დაედო არა რაიმე სახის საგამომიებო მოქმედების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია, არამედ -ოჯახური კონფლიქტი, რომელიც მოხდა მასა და მასთან ფიქტიურ ქორწინებაში მყოფ მ. მ-ს შორის. ყოვე-ლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ განა-ჩენი დაადგინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით და მატერიალური კანონის არასწორი გამოყენებით, რამაც შეზღუდა მისი უფლებები და ხელი შეუშალა საქმის გარე-მოებათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინა კანონიერი, სა-ფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მ. ხ-შვილი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გა-უქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩა-უდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმს ხელს არ აწერს სხდომის მდივანი, რაც საქართველოს სსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ნ" ქვეპუნ-ქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში მ. ხ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას მტკიცებულებები ხელახ-ლა არ გამოკვლეულა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩატარებული მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგებს არ გააჩნდა იურიდიული ძალა ზემოაღნიშნული გარემოე-ბის გამო.

ასეთ ვითარებაში საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, არსებითად იმსჯელოს საკა-საციო საჩივრის მოტივებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მ. ხ-შვილის მიმართ ხელახლა გან-სახილველად გადაეგზავნოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის სათა-ნადოდ გაფორმებული ოქმი, მხარეთა მონაწილეობით სრულად უნდა გამოიკვლიოს საქმეში არსე-ბული მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამარ-თლიანი გადაწყვეტილება. ამასთან, საქმის ხელახლა განხილვის შედეგად არ უნდა გაუარესდეს მსჯავრდებულის მდგომარეობა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლითა და 570-ე მუხლის პირველი ნაწილით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განაჩენი მ. ხ. შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განაჩენის გაუქმება კანონის არსებითი დარღვევის გამო**

**განჩინება**

#744-აპ-09

2 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ტ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

დ. ტ-ს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენის მიხედვით, დ. ტ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 5 ნოემბერს, დაახლოებით 10 საათზე, სამარშრუტო მიკროავტობუსით მგზავრობისას, ქ. ქუთაისში, ...-ის ქუჩაზე, დ. ტ-მ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა სხვის კუთვნილ ქონებას. მან დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტად შეარჩია იმავე მიკროავტობუსში მყოფი დ. ხ-ს კუთვნილი, "სამსუნგ-დუოსის" მოდელის მობილური ტელეფონი და დაელოდა ხელსაყრელ მომენტს დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ქუჩის #-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დ. ხ-მ მძღოლს შეაჩერებინა მიკროავტობუსი და დააპირა ჩასვლა. ისარგებლა რა ამ უკანასკნელის უყურადღებობით, დ. ტ-მ ხელი ჩაუყო მას ქურთუკის გარეთა, მარჯვენა ჯიბეში და, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა მის კუთვნილ, 500 ლარად ღირებულ "სამსუნგ-დუოსის" მოდელის მობილურ ტელეფონს. დინა ხვედელიძე ჩამოვიდა მიკროავტობუსიდან, თუმცა იქვე აღმოაჩინა დანაკარგი და დახმარებისათვის მიმართა პოლიციას. რამდენიმე წუთში გამზირზე, დ. ხ-ს მითითებით, პოლიციის თანამშრომლებმა იმავე მიკროავტობუსიდან ჩამოსვლისას დააკავეს დ. ტ-ე, რომელსაც პირადი ჩხრეკისას ქურთუკის ჯიბიდან ამოუღეს დ. ხ-ს კუთვნილი "სამსუნგ-დუოსის" მოდელის მობილური ტელეფონი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. ტ-ს დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-მ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა დ. ტ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას შემდეგი მოტივებით: გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ამასთან, სასამართლო გამოძიებისას დაზარალებულმა მიუთითა, რომ მას ეცვა ქურთუკი, რომელსაც ჰქონდა ღია ჯიბე, რის გამოც სავსებით შესაძლებელია, მობილური ტელეფონი მას ამოვარდნოდა ჯიბიდან გაურკვეველ ვითარებაში, სხვისი დახმარების გარეშე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2009 წლის 29 ივნისის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ დ. ტ-ს მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა დ. ტ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც წინათ მითითებული იყო დაცვის მხარის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარში, ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ დ. ტ-ს მიმართ და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის მოტივები, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მას ქურდობა არ ჩაუდენია, ვინაიდან იგი მოკლებულია რეალურ და დამაჯერებელ საფუძველს. დაზარალებულ დ. ხ-ს ჩვენებით, ჩხრეკის ოქმით, მოწმეთა ჩვენებებითა და ნივთმტკიცებით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით, უტყუარად არის დადასტურებული დ. ტ-ს ბრალი ქურდობის ჩადენაში.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. ტ-ს ბრალდების საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ ბოლომდე არ შეასრულა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვისას არ დაადგინა დანაშაულის საგნის -დაზარალებულ დ. ხ-ს კუთვნილი მობილური ტელეფონის ღირებულება, სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა აღნიშნული საქმე და დაადგინა განაჩენი, რომლითაც დ. ტ-ს ქმედების კვალიფიკაცია განსაზღვრა საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, როგორც ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მართალია, წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაზარალებულმა თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ მისი მობილური ტელეფონის ღირებულება შეადგენს 500 ლარს, მაგრამ დაზარალებულის ეს ჩვენება პირველი ინსტანციის სასამართლოში არ გამოქვეყნებულა. ამავ დროს, სასამართლომ ისე განსაზღვრა დ. ტ-ს მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია, რომ არ შეაფასა დანაშაულის საგნის ღირებულება კანონით დადგენილი წესით, რის გარეშეც სასამართლოს დასკვნა მსჯავრდებულის მიერ თავისი ქმედებით დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის თაობაზე ვერ ჩაითვლება საფუძველიანად და დასაბუთებულად.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საფუძველია, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის განაჩენი დ. ტ-ს მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საქმე განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით, რა დროსაც შესაბამისი საპროცესო მოქმედებების მეშვეობით უნდა გაირკვეს დანაშაულის საგნის -დაზარალებულ დ. ხ-ს კუთვნილი, "სამსუნგ-დუოსის" მოდელის ორსიმბარათიანი მობილური ტელეფონის რეალური ღირებულება აღნიშნული ქმედების ჩადენის დროისათვის და ამ ღირებულების შესაბამისად დაზუსტდეს მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაცია, კერძოდ, უნდა დადგინდეს უტყუარად: ნამდვილად არის თუ არა იგი ბრალეული საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, თუ იგი უნდა დაისაჯოს საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ დ. ტ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის განაჩენი დ. ტ-ს მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.